№ 11 XXV

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნოემბერი 1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I რეიმსის უძველესი და უმშვენიერესი ტაძარი გერმანელებისგან დანგრეული 594
II საშობაო გემი 595
III ქეთინოს ვედრება (წერილი ბიძიასთან) ლექსი შიო მდგომელისა. 597
IV ერთგული მეგობარი ეკ. კ.ბ.ბ.შვილისა 599
V ოქროს თევზები. ამბავი. თარგმანი ტ.ს.ოსი . . . 602
VI გულადი და კეთილი ქალი, ნამდვილი ამბავი—№. 605
VII სოფლის ბიჭი ვარ, ლექსი ლადო გ.ბ.ბ.ჭ.ორ.ისა . . 608
VIII ფრთ.ებ.ის გულ.ისათვის. ალ. ფ.ალ.ა.ს.ი 610
IX დაჭ.ილ.ის ნ.ა.ამ.ბ.ი, თარგმანი კ.ულ.ა.ბ.ს.ი . . . 621
X წ.ვ.ილ.მ.ნ.ი: გ.ამ.ო.ც.ა.ნ.ებ.ი, შ.ა.ა.ლ.ა 624

XI გ.ა.ნ.თ.ი.ა.დ.ი. ლ.ე.ქ.ს.ი ბ.ო.ზ.ა.თ მ. ა.ნ.ა.შ.ვ.ი.ლ.ი.ს.ა. 626
XII გ.ა.მ.ი.შ.ვ.ი, რ.ა.ს მ.ე.მ.ა.რ.თ.ლ.ებ.ი—ტ.ქ.ვ.ი.ტ.ი.ს.ა 628
XIII გ.ა.ზ.ე.თ.ი.ს ი.ს.ტ.ო.რ.ი.ა (დ.ა.ს.ა.ს.რ.უ.ლ.ი) ს. ფ—ა.ს.ი . . . 634
XIV ხ.ი.მ.ე.რ.ა, ნ.ა.ტ-ბ.ო.ტ.ო.რ.ნ.ი.ს ზ.ლ.ა.პ.ა.რ.ი (დ.ა.ს.ა.ს.რ.უ.ლ.ი) თ.ა.რ.გ.მ.ა.ნ.ი შ.ე.შ.ნ.ი.ბ.ა ს.ს.ა.თ.ა.ნ.ი.ს.ა 639
XV ბ.ე.ლ.გ.ი.ა (ს.ურ.ა.თ.ებ.ი.თ) შ.ე.დ.გ.ე.ნ.ი.ლ.ი ალ. ფ.ალ.ა.ს.ი . 646
XVI ო.რ.ი ო.ა.ი.ნ.დ.ი, ზ.ლ.ა.პ.ა.რ.ი (დ.ა.ს.ა.ს.რ.უ.ლ.ი ი.ქ.ნ.ე.ბ.ა) გ. ლ—ძ.ი.ს.ა 652

ჯეჯილის რედაქციაში მიიღება

შემოწირულება ჯარში ყასულ მეომართა ოჯახის სასარგებლოთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!.
ი. დ.

ნოემბერი, 1914 წ.

✦ წელიწადი მეოცდახუთე ✦

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი „შრომა", მუხრანის ქ. № 12.
1914

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რეიმსის უძველესი და უმშვენიერესი ტაძარი
გერმანელების მიერ დანგრეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშობაო გემი.

19393

მალე შობა დადგება, ბავშვების საყვარელი, მხიარული დღესასწაული. ნაძვის ხეები გაიმართება, სათამაშოები, წიგნები, ტკბილეულობა დარიგდება...

მაგრამ არიან ისეთი ბავშვები, რომლებიც უსაჩუქროთ დარჩებიან, ამ ომის გამო დაობლებული, უპატრონო ბავშვები. და აი, ამერიკაში, ქ. ჩიკაგოში, რამდენსამე კეთილ ჰირს აზრათ მოუვიდა იეიდონ და შეაგროვონ ბევრი, ბევრი სათამაშოები და დატვირთონ ამ სათამაშოებით ერთი დიდი „საშობაო გემი“. ეს გემი სწორეთ საღდესასწაულოთ მოვა ევროპაში და აქ ეს საჩუქრები ყველა იმ ბავშვებს დაურიგდება, ვისაც მამა ომში მოუკლეს.

ამ საჩუქრებისთვის კიდეც აგროვებენ მთელ ამერიკაში ფულს. გაზეთების შემწეობით თხოვენ ყველა ამერიკელ ბავშვებს არ დასარჯონ ის ფული, რომელიც მათ ტკბილეულობისთვის ემლევათ და შეაგროვონ იგი ამ სათამაშოების საყიდლათ; ამერიკელი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებიც უხვათ სწირავენ ფულს ამ მიზნისთვის. და მზადდება „საშობაო გემი“, რომელიც გამოიცვლის დიდ ოკეანეს და სადღესასწაულოთ საჩუქრებს შოუტანს დაობლებულ, უპატრონო ბავშვებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთინოს ვედრება.

(წერილი ბიძიებთან)

იძიებო, როდესაც კი
მიშო, მაკინე და ნინა
სელაპერობით მწკრივად დგანან
წამებულის ხატის წინა,

მკაფიოდ და სხაპა-სხუპით
ერთმანეთს რო არ უთმობენ,
ლოცვითა და ვედრებითა
ღმერთთან ასე ღაღადებენ:

ღმერთო, ღმერთო, გევედრებით,
თხოვნა ჩვენი აასრულე,
ობლებს ნუღარ გაამრავლებ,
ომი მალე დაასრულე.

ორი ძია ჩვენც იქა გვუპვს
დიდ-პატარის მოსულდგმული;
რო ვტიროდით გვამშვიდებდნენ,
ჩაგვძახოდნენ: სულე, სულე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა სულეს ნურვინ გვეტუვის,
აღარა ვართ აზრით დუნე,
მტერზე გამარჯვებულები
სახლში დროზე დაგვიბრუნე!..

მეოკი ასე ვევედრები
ჩუმად ჩემ წილ ფუფალასა:
გვიდღეგრძელე ბიძიები
მე და ე ჩემ დუფალასა.

მოვლენ წუწებს მომიტანენ
წითელ ბუზმენტებიანსა,
ჩემს დედოფალს ფარჩის კაბას,
ლამაზ კუწუბებიანსა.

დიდედას კი მწვანე ბურნუთს
საწეგოსასრუტუნებელსა,
ოქროს კოხტა სათამაშოს
ხელში საჯრაჯუნებელსა.

ძია ვანოს!.. ეჰ, არ ვიცი,
ტუვილად ვერას მოვაჯორებ;
ღმერთო, მალე ამისრულე
რასაც გთხოვ და გიმეორებ.

ძია ლევან, ძია კოტე,
ღმერთი ამ ჩემს ვედრებასა
შეისმენს და გადავრჩები
მეც დუფალას ევედრებასა.

შიო მღვიმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთგული მეგობარი.

(ნამდვილი ამბავი)

ბიდის თავგანწირულებით იბრძვიან საფრანგეთის შვილნი, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მზათ არიან დაიცვან თავიანთი მშვენიერი სამშობლო გერმანელთა თავ-დასხმისაგან.

თითქმის ეოველ დღე, ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში უხდებათ შებრძოლება უდიერს და მძლავრ მტერთან და დიდის ვაჟკაცობით უბრუნებენ კიდეც მახვილს და მუსვრიან. აუარებელნი მამაცნი, სამშობლოს სიამაყენი და მშვენებანი ესალმებიან წუთი სოფელს ორივეთა მხრით!

საშინელი სურათებით არის სავსე ბრძოლის ველი, სისხლის ღვარი მიდის შეუწყვეტლათ და ჭაარავს კაცის წარმოდგენას.

ელზას სამხღვარზედ დიდი ბრძოლა იყო. ნემეცების ჯოჯოხეთურმა არტილერიის ცეცხლმა დიდი ზიანი მიაყენა ფრანგებს. ერთი მოწინავე რაზმი მთლათ გაანადგურა, ცოცხლად გადარჩა მხოლოთ რაზმის მიმდევარი პატარა ძაღლი ფიდელი*), მაგრამ იმანაც არ უღალატა თავის პატრონებს და მთელი დღე საშინელის ომუილით თავს დასტრიალებდა

*) ფიდელი—ერთგულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გმირულათ თავგანწირულ მეომართ და სიღამოზედ, როდესაც ბრძოლა შესწყდა და გამარჯვებულ საფრანგეთის მეომართ ამსანაგების გვამები დაასაფლავეს ტრიალ მინდორზედ გათხრილ საერთო საფლავში, ფიდელიც იმათ დასდევდა უკან და მწარეთ თავ-ჰირ ჩამომტირალი თითქოს უკანასკნელათ ესალმებოდა თავის მეგობრებს.

ჯარის კაცებმა საფლავს ქვები დააწყეს, გარშემო მწვანე ბუჩქები შემოურგეს, შუაზედ უბრალო სის ჯვარი ამართეს და ზედ საფრანგეთის ბაირაღი ააფრიალეს. უკანასკნელათ ძუსლი მოიდრიკეს ძმათა საერთო სავანეზედ და გაეშურნენ მოახლოვებით დაბანაკებულ ჯარებისკენ.

საფლავთან დარჩა მხოლოთ ფიდელი, ეს ერთგული მეგობარი კაცის ჭირში და ლხინშიც და წინა ფეხებზედ დაეცა, მიწას ჩააშტერა უზომო სევდით სავსე თვალები და უნძრევლათ გაირინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი ეძახეს ძიძავალ ძოძართ, ძაგრამ ფიდელი შეურეევლათ იუო განართხული ტრიალ მინდორზედ მიტოვებულ საფლავის გვერდით და მხოლოთ ხანდისხან იმისი საზარელი ეშუილი არეევდა ირგვლივ გამეფებულ სიკვდილის სამფლობელოს.

ეკ. გაბაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს თევზები.

იცუნია გამალებული ზის სავარძელში. განცხრომაშია. თვალებს სიამოვნებით ბჟუტავს, თან თვალს არ აშორებს ნატარა თინას.

თინას წინ უდგია მინის ჯამი წყლით სავსე. შიგ ჩაუგდია თუნუქის ოქროს თევზები.

— რა კარგათ თამაშობს თინა, ნეტავი მაგას, ფიქრობს ციცუნია.—მაგრამ მოხვდება მაგას მაგ თამაშობისთვის!...

ციცუნიას არ დავიწყებია თინას დედამ ერთხელ როგორ გალახა ის, როდესაც მან ჩაჭეო აკვარიუმში*) თათი ოქროს თევზის დასაჭერათ. მაშინ მაგას კარგათ მოხვდა.

— აბა ერთი ვნახოთ რა იქნება, ფიქრობს ციცუნია, თან თათებს ილოკავს და ამთქნარებს.

თინამ მოარბეინა საჩქაროთ რაღაც წითელი ხირხალი—ეს იყო მაღნიტი, რკინის გვარი, რომე-

*) აკვარიუმია—ღიდი წყლით სავსე ჭურჭელი, რომელშიაც ინახამენ თევზებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც მიიზიდავდა საგანს და დაიწყო იმითი წყალზე გასვა-გამოსვა. ეს თუნუქის თევზებს იზიდავდა და თინა თითო თითოს იჭერდა. ემაწვილი იცინოდა, ტაშსა ჰკრავდა.

— აგრე არ ჩაუვლის, მოსვდება მაგას, მოსვდება! ნიშნის მოგებით კრუტუნებს ციცუნია, —სწორეთ ისე იჭერს თევზებს, როგორც მე...

ოთახის კარი გაიღო. შემოდის თინას დედა.

— აბა, ახლა იქნება სეირი!.. ფიქრობს ციცუნია.



დედა მიუახლოვდა შვილს, თავზე ხელი გადუსვა და აკოცა.

— თამაშობ, შვილო? ითამაშე, ითამაშე!..

ციცუნია გაკვირვებით აჭუეტს თვალებს. ვერა გაუგია რა.

— რას ნიშნავს? ეს რა ამბავია! სჩანს ოქროს თევზების დაჭერა ალარ არი აკრძალული?

ციცუნია ერთ წამს გადმოხტება საკარძლიდან. კუდს მაღლა აიწევს, იწყობს კრუტუნს. მერე მიუბრუნდება თინას დედას, გაუვლის ფეხებთან სულ ახლოს მიეხახ-მოეხახუნება. თინას დედაც ალერსით ხელს უსვამს!

— ჩემი საქმე ახლა კარგათ არის,— ფიქრობს ციცუნია, თინას დედა დღეს მეტათ კეთილია, რაც გვინდა იმას ჩავიდენთ, არაფერს აგვიკრძალავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატარა სანს უკან ციცუნია ფრთხილათ, ფეხ-აკრეფით შეიპარა სასტუმრო ოთახში სადაც აკვარიუ-ში იდგა, მარჯვეთ ახტა მაღლა, ჩაიხედა შიგ და რამდენსამე სანს სიამოვნებით დასჩერებოდა აქეთ-იქით მოცურავ ოქროს თევზებს.

— აი, ეს თევზი, აი ისიც! სულ კაი თევზუ-ნიები არიან,—ბირის ცმაცუნით და თვალების ბრიალ-ლით ამბობს ციცუნია,—გემრიელი საჭმელი უნდა იყოს...

ციცუნია დადგა უკანა ფეხებზე, გაიშვირა თათი და ის იყო უნდა დასწდომოდა თევზს, რომ ვიღამაც უკანიდან მაგრათ ჩაარტყა. მერე იგრძნო როგორ მოჰკიდეს კისერში სელი, აიტაცეს მაღლა და დაა-ნარცხეს ძირს. ციცუნიამ ვერ მოახერხა მტრის ვერც კბენა და ვერც დაფხაჭნა. მან მხოლოთ კუდი შეი-კეცა და ერთ მუშტათ გადიქცა.

საქმე ამითი არ გათავდა. ის კიდევ კარგა მიტ-ევეპეს, უურები აუწიეს და კინწი ჰკრეს. გულ-გახეთ-ქილი ციცუნია გავარდა გარეთ და კარების უკან ნა-გავში მიიმალა.

მერე ფრუტუნით წამოსტა, შეიბერტყა, ბეწვი გა-ილოკა, ვითომ არაფერიაო. მაგრამ გულში კი დი-დათ ნაწუენი იყო:

— თინას ეველაფერს უთმობენ, თევზის დაჭერა-საც, მაგისთვის თავზე ხელსაც უსვამენ და მე კი მცემენ, მტეეპამენ! ამისი არა გამეგება რა. მაგრამ სწორეთ უნდა ვთქვა, ამისთანა უსამართლობა დიდათ საწუენია.

№
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულადი და კეთილი ქალი.

(ნამდვილი ამბავი)

ასალგაზდა მდიდარი ამერიკელი ქალი, მისს ვინდერბოტი, ამ ზაფხულს ბელგიაში ჩამოვიდა, ამ მშვენიერი ქვეყნის და მისი მხნე და მშრომელი მცხოვრებლების გასაცნობათ.

შუა ზაფხულს ომი დაიწყო და გერმანელები ბელგიაში შეცვივდენ. მთელი ომის საშინელებამ მისს ვინდერბოტის თვალ-წინ გაიარა; ის ხედავდა, როგორ უღვთოთ იკლებდენ გერმანელები ბელგიელებს, ხედავდა, როგორ გულადათ იცავდენ ბელგიელები თავისი სამშობლოს ეოველ ნაბიჯს და მას ძალიან შეუყვარდა ეს ჰატარა, ჰატიოსანი და კეთილშობილი ხალხი.

ასალგაზრდა ქალს რამდენჯერმე ჰქონდა შემთხვევა ბელგიიდან წასულიეო, მაგრამ ის მაინც რჩებოდა და სულ იმეორებდა: „ამისთანა რაინდულ ხალხში მე არაფერის მეშინია. ესენი დამიფარავენ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელებმა გაიმარჯვეს და ზღვისკენ დასდევნეს ვინეს ბელგიელებს. ბოლოს ბელგიელი ჯარი ქალ. ანტვერპენში ჩაიკეტა. მისს ვინდერბოტიც იქ დასასლდა. თავისი ფულით მან დაჭრილთათვის საავათმეოფო მოაწყო, ეიდულობდა მათთვის საცვალს, ტანსაცმელს...

გერმანელებმა ალეა შემოარტეეს და ზარბაზნები დაუშინეს ანტვერპენს; სოცავდენ სალსს, ანგრევდენ სასლებს. ბელგიელები დიდსანს გამაგრდენ, მაგრამ ბოლოს დაინახეს, რომ ქალაქის დაცვა შეუძლებელი იეო და ერთ ღამეს ჯარიც და მცხოვრებნიც გავიდენ ქალაქიდან და გადვიდენ საფრანგეთში, სადაც ბელგიელი ჯარი საფრანგეთისას უნდა შეერთებოდა გერმანელებთან ბრძოლის განსაგრძობათ. ანტვერპენში მხოლოთ ავათმეოფები, დაჭრილები, ექიმები და ზოგზოგი უმწეო მცხოვრებნი დარჩენ.

მისს ვინდერბოტიც წასვლას აპირებდა, როდესაც უეცრათ გაიგო რომ ქალაქს გარეთ რამდენიმე დაჭრილი დარჩა, რომ ისინი უპატრონოთ გდიან და არავინ არის მათი გადმომევანი ქალაქში, საავათმეოფოში. ის წავიდა საავათმეოფოში და გამოაცხადა, მე მოვიეეან მათ ჩემი ავტომობილითო.

ვერავინ ვერ გაბედა მასთან ერთათ ქალაქს გარეთ წასვლა, რადგანაც გერმანელების ზარბაზნებს გრიალი გაჰქონდა, ეუმბარები ხან სად სკდებოდენ და ხან სად. შოფერმაც კი გამოუცხადა, ავტომობილის წაეეანა მე არ შემიძლიაო.

ახალგაზრდა ქალი არ შეკრთა, ჩაჯდა ავტომო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილში, თითონ წაიყვანა იგი და ისარიგით გაეშვა დაცარიელებულ, თითქო ამოწყვეტილ ქუჩებში.

ზარბაზნები გრიალებდენ, ეუმბარები სკდებოდენ, მაგრამ მან მაინც უვნებლათ გაიარა თითქმის ათი ვერსტი და მიაღწია სასურველ ადგილს, სადაც იპოვა დაჭრილები, 11 კაცი, ჩასვა ისინი თავის დიდ ავტომობილში და მშვიდობით მოიყვანა ქალაქში, საავათმყოფოში, სადაც თითონაც დარჩა მათ მოსავლელათ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფლის ბიჭი.

ოფლელი ბიჭი გასლავარ,
შვილი ვარ ღარიბ გლესისა,
არ მეშინია მე ავდრის
და არცა გრგვინვა-მესისა!

არ გავიტარებ ამ გულში
არასდროს ცუდსა რამეებს:—
დღეებს მინდვრებში ვატარებ
და მიწურ ქოხში ღამეებს!

გაცვეთილი მაქვს სამოსი,
ხან მძია, ხანაც მწყურია,
მაგრამ იმედათ ის მრჩება,
რომ დამდევს ჩემი მურია!

ცხვარს რომ ფერდობზე წავრეკავ,
ის მომდევს კუდის ქიცინით:
ეურს ვუგდებთ ფრინველთ ჟრიამულს
და გვისარიან, ვიცინით!

ჩემი სკოლაა ბუნება,
მასწავლებელი ცხოველი;
სამაგალითო გაკვეთილს
მუდამ იძლევიან მოველი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტკარი გარჯას შეძახვევს
და ჭიანჭველა შრომასა,
თხუნელა მიწაში კირკიტს
და არ უსაქმოთ დგომასა!

მთის წყარო სალისს მინერგავს,
ეკავილის ფშვენა—სიხარულს
და იადონის სიმღერა
მოეკვასის ტრფობა-სიყვარულს!

მეც ეველა მიყვარს და ეველას
მე ვეევარ მადლიერია,
მიყვარს საშობლო, მამული
და მთლათ ქართველი ერია!

ლადო გეგეჭკორი.

19898

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთების გულისთვის.

ფრიკის და აზიის უდაბნოებში შეხვდებით ხშირათ სირ აქლემების ჯოგებს. ამ ფრინველებს აქვთ მშვენიერი თეთრი და შავი ხუჭუჭ მაგარი ფრთები, მაგრამ ფრენა მათ არ შეუძლიანთ. სირ აქლემა ვერ დაფრინავს, სამაგიეროთ თავისი გრძელი ფეხებით შეუძლიან გაექცეს ყოველ საფრთხეს. ფეხები აქვს გრძელი, მაგარი, ორი თითით: ერთ თითზე აბია მაგარი ბრჭყალი. ამბობენ სირ აქლემას შეუძლიან ერთ წუთში გაირბინოს ორი ვერსი. მიწას თითქმის არ ეკარება, ექვს არშინზე აბიჯებს. სირაქლემას შვლის მეტად გრძელი ფეხები, მისი ჰატარა თვალების შორს მხედველობა და კარგი ყურთა სმენა, თუმცა ყურები ბალნით აქვს შემოსილი — სულ მცირე ხმაურობაც კი არ გამოეპარებათ. მისი ჰაწია თვალები რამდენიმე ვერსის სიშორეზე ხედავენ საფრთხეს. ამასთანავე სირ აქლემას აქვს ძლიერ მაღალი კისერი და ამის საშუალებით ხედავენ ყველაფერს.

*

სირ აქლემები სუთი-ექვსი ერთათ ცხოვრობს და ერთ ადგილასაც ბალახობენ დიდხანს; ოღონდ ჭქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეთ მათ წუალი და ბალახი, სხვა არაფერი არ ეჭირო-ჭირებათ. მათი ცხოვრება ძლიერ ერთგვარია. ერთი დღე მეორეს მიეგვანება. დილაობით და შუადღისას ბალახობენ, დინჯათ დასეირნობენ, წიწკნიან რჩევით კარგ ბალახს, ჭერეფენ მარცვლებს, ეძებენ მწერებს. სჭამენ, შეუსვენებლივ სჭამენ და სჭამენ და გაძღებიან მხოლოთ შუა დღე რომ მოატანს. მაშინ დასვენების დრო დაუდგებათ და მიეცემიან კიდეც დასვენებას. ხან ფესზე ისვენებს და ხან წამოწვება... მერე უცებ წა-ძოსტებიან და დაიწყებენ ერთ ადგილზე ტრიალს— როგორც გადარეულნი. არც მხურვალე მზე, არც გასუ-რებული სილა არ უშლის მათ გიჟურ ცეკვას. რო-დესაც მოიჯერებენ გულს, გაიქცევიან წელის სას-ელათ.

ეს ფრინველები წუალზე ერთ და იგივე გზით დადიან, ამიტომაც გზებს კარგათ ტკეპნიან და მშვე-ნიერი ბილიკები კეთდება. ხან და ხან მგზავრი რომ წააწუდება ასეთ ბილიკს—გაეხარდება, ჰგონია ასლოა ადამიანის ბინაო, ნამდვილათ კი ადამიანი რამდენიმე ვერსის სიშორეზეა.

*

დადგება თუ არა გაზაფხული, შეიმოსება თუ არა მინდვრები ყვავილი ბალახით, დედალი სირ აქ-ლემა დებს კვერცხებს; იცის რომ საჭმელი ეოველ-თვის ბლომათ ექნება. ქვიშაში იკეთებენ ბუდეს: დედლები ამ საერთო ბუდეში ორ დღეში ერთხელ სდებენ კვერცხებს, როდესაც შეგროვდება თორმეტამ-დე კვერცხი—მამალი დაუჯდება გამოსაჩეკათ, დედალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლო არ მიუშვებს. თუ ძოინდომებს საჭმელ-ფეხ-სვლას, მაშინ მეგობარს აბარებს კვერცხებს და თუ ცხელი დღეა—სილას მიაყრის, რომ ძხემ გაათბოს. თუ მათ ბუდესკენ ვინმემ გაიგნო გზა და შეესხ კვერცხებს—მაშინვე ამ ფრინველებს სხვაგან გადააქვთ თავისი ბუდე.

*

სირ აქლემის კვერცხები დიდია, იწონს 4 გირვანქამდე. მისი ნაჭუჭი ძალიან მაგარია. თითო კვერცხი უდრის ქათმის 24 კვერცხს. კვერცხებს მცხოვრებლები სჭამენ და ნაჭუჭს ხმარობენ ჭურჭლათ.

ორმოც და ათი დღის შემდეგ კვერცხიდან გამოვა ბატარა სირ აქლემა და ჯერ კიდევ სველი გარბის საბალახოთ. ერთი დღის ბარტყის დაჭერა კიდევ შესაძლოა, მერე კი ძნელია ხოლმე. ძალიან მარდები არიან.

*

მშობლებს ძალიან უყვართ თავიანთი ბარტყები. ოთველ ხერხს ხმარობენ მონადირესაგან გადაარჩინონ. ბარტყებს ბაწია ფრთები მესამე თვეზე გამოუვათ და ორი წლის შემდეგ მშვენიერ თეთრ და შავ ფრთებათ გადაექცევათ და აი ამ ფრთების გულისთვის ხოცავენ ამ უბედურებს.

ძველ დროიდან სირ აქლემის ფრთას დიდი ფასი ჰქონდა. მათ მიართმევდენ სახუქრათ მეფეებს, სარდლების ქუდებს ამკობდენ ამ ძვირფას ფრთებით. როდესაც სატავდენ საძართლიან მეფეს—ხელში უსათუოთ მისცემდენ სირაქლემის ფრთას, ნიშნათ იმისა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ფრთა არც აქეთ და არც იქით არ გადიხ-
რება, ისეც ადამიანი სიმართლეს არ გადუდგება.

*

მონადირენი გადიან სანადიროთ ცხენებით, ან
აქლემებით და რადგან არ იციან როდის შეხვდებათ
სირ აქლემები, ამიტომაც თან მიაქვთ საჭმელ-სასმე-
ლი, რომ უდაბნოში არ დაიღუპონ.

მონადირენი რომ სირ აქლემის ჯოგს დაინახა-
მენ გაეკიდებიან და თითო მონადირე თითო ფრინველს
ამოიღებს ნიშანში და სდევნის სანამ არ მოლალავს
სირბილით, როდესაც მიეწევა ჩასცხამს დანას და
ცდილობს სასხლეტა არ გაუფუჭოს ფრთები, გააძრობს
ტყავს და ისე ტყავ-გადაბრუნებულს, რომ ფრთები არ
დაზარალდეს, მიიტანს ბინამდინ.

*

სირაქლემებს იჭერენ კიდევ კაკანეთებით. სმირათ
მოტეუებითაც იგდებენ ხელში. ჯოხზე წამოაცმევენ
მკვდარ სირ აქლემის კისერს და თავს. თავზე გაიკე-
თებენ ბალიშს, ხელში აიღებენ ცოცხს, ფეხებს თეთ-
რათ შეიღებავენ. შორიდან ასეთი მონადირე მართ-
ლაც სირ აქლემას ჰგავს. ამ რიგათ გამოწყობილი
მონადირე ბალიშს აქნევს, ჯოხს აქეთ-იქით ანძრევს,
ფრინველის თავიც თითქოს აქეთ-იქით იეურება. მე-
ორე ხელში მონადირეს უჭირავს ისრები. სულელ
ფრინველს ჰგონია უცხო ჯოგიდან სირაქლემა მო-
დისო ჩემთან საბრძოლველათო და მტერს ხელში
უვარდება.

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრინდელ დროში სირ აქლემები ბლოკვათ იყენებ-ჯოგებათ დადიოდენ, ესლა მათი რიცხვი სულ შემ-ცირდა და თვით ბუნება რომ არ უწუობდეს ხელს მათი ხსენება აღარც კი იქნებოდა: ყველაზე ძვირათ ფასობს სირაქლემას თეთრი ფრთები, რომელიც მამალს ბოლოზე ამოსდის ხოლმე, დანარჩენი ფრთები კი გარეულ სირაქლემას კარგი არა აქვს, ხან მიწაზე ბევრი ჯდომისაგან გაფუჭებულია და ხან დამტვრეულია, გასვრილი და დაგლეჯილი. მოკლულ მამალს თუ 15—16 კარგ ფრთას შემოაცლიან ისიც კარგია. მის მოსაკლავათ კი მონადირე რამდენ უბედურებას განიცდის და ბოლოს ერგება მხოლოთ თუთხმეტიოდე ფრთა.

ადამიანმა მოიფიქრა, რომ უკეთესი იქნება სირაქლემები გააშენონ სახლში, როგორც გააშენებენ ხოლმე ინვებს, ბატებს, ქათმებს. მაშინ ფრინველს უკეთესათ მოუვლიან და ორ ნაირ სარგებლობას ნახავენ—კვერცხებითაც და ფრთებითაც.

*

ადრინდელ დროშიაც იცოდენ, რომ შეიძლება სირ აქლემების მოშენება, მაგრამ მხოლოთ გასართობათ აშინაურებდენ, შეაბამდენ ეტარა ურემში—ეტლში და დასეირნობდენ. ფრთებისთვის კი არა ზრუნავდენ. შინაური სირ აქლემის ფრთები ეგონათ ბევრათ ნაკლები, ვიდრე გარეული ფრინველისა. ამ ორმოცი წლის წინეთ აფრიკაში ერთმა ინგლისელმა განიზრახა თავის ფერმაში მათი მოშენება. გამოცდამ კარგათ ჩაიარა. რამდენიმე წლის განმავლობაში ასამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე სირ აქლემა გაამრავლა და მშვენიერათ, კარგათ მოზ-
ლილ ფრთებს აცლიდა მათ. გარეშე მეზობლები არ
ჭბაძავდენ მას, სანამ არ დადგა გვალვა. მინდვრებში
ბალახი გახმა. მცხოვრებლები მეცხვარეობას ვეღარ
მისდევდენ. ცხვრები შიმშილით იხოცებოდენ, მცხოვ-
რებლებს სიკვდილი კარს მიადგა, ფიქრობდენ შიმ-
შილისაგან როგორ გადაერჩინათ თავი და მოჰკიდეს
ხელი სირ აქლემების გაშენებას. ახლა სამხრეთ-აფრიკა-
ში მოიპოვება ოთხმოცი ათასამდე შინაური სირაქლემა
და მათი ფრთები ერთი ორათ ფასობს, ვიდრე სხვა
გარეული ფრინველებისა.

*

იკითხავთ განა, როგორ ძიიჩვიეს სირ აქლემა? ჯერ
იშოვეს სირ აქლემის ბარტყები და დაუწყეს მათ ზრდა:
შემოღობეს დიდი ადგილი, შიგ დათესეს ბალახი,
რომლითაც ეს ფრინველი ჩვეულებრივ იკვებება,—
მოუტანეს მარცვლები, ჭიები, ბუზები, დაკეფილი
კვერცხები და სხვა. ეს ბარტყები საძაგალითოთ გაი-
ზარდენ. პატრონებმა ახლა კი გაიგეს რა ძნელი ეო-
ფილა სირაქლემის გაძღომა. ესენი ჭელაპვენ რასაც
ჩაიგდებენ: აგურის ნაჭრებს, ქვის ნამტვრევებს, კრამი-
ტისას, ერთი სიტყვით ყველაფერს მუცლისკენ მია-
ქანებენ. დაუწყავ კირს იმდენს სჭამენ სოლმე, რომ
სიკვდილის პირს მიადგებიან.

„თუ რამე დაიკარგებოდა, ამბობს ერთი კაცი, ჩვენ
დანაკარგს ვეძებდით სირ აქლემის განავალში. სირ აქ-
ლემას ჩაუვარდა ჩემი გასაღებები და მას ეს გასაღებები
ერთიანათ გადაეყლაპა. ერთი მკვდარი სირ აქლემის კუჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ნახეს სამ გირვანქამდის ქვიშა, აუარებელი ფა-ლასოფულასები, სამი ნაჯერი რკინა, ცხრა შავი ფუ-ლი, ორი კლიტე, ოცზე მეტი ლურსმანი, ტუვიები, ფოლაქები, ეჟვნები და სხვა წვრილმანი. სირ აქლემა მიირთმევს დაუზარებლათ გველებს, ვირთაგვებს, ჩი-ტებს... ერთი იხვის დიდი ოჯახი თურმე თავ-მომ-წონეთ დასეირნობდა ეზოში, სადაც სირ აქლემი იყო. გადახედა მან ჯერ დედა იხვს, მერე ჭუკებს.. და ეველა ერთბაშათ გადუძახა მუცელში.

*

ბარტყები რომ დაიზრდებიან, მამალი სირაქლემა იშენებს ბუდეს, დედალი დასდებს 16, 18 და ხან და ხან 20 კვერცხსაც, მამალი ყოველ დღე შედის ბუდეში, აბრუნებს კვერცხებს, ფრთებს უსვამს, თითქოს ეა-ლერსებაო. მერე დაჯდება ზედ და სწორეთ 51 დღე ზედა ზის, დილით გამოვა საჭმელათ ცოტა ხნით, შუა დღისაც, თორემ დღე და ღამე არ შორდება კვერცხებს...

აი გამოვიდენ ბატარა სირ აქლემები ბუდიდან. ბატრონებმა მიუტანეს საჭმელები, აჭამეს და ისევ მამას ფრთას ქვეშ ამოუსხდენ—დაისვენეს, გათბენ და გაჰყვენ მამას ვარცლისაკენ, სადაც საჭმელი აქვთ ხოლმე. მამა ნისკარტით იღებს საჭმელს, ნერწყვით აბრუნებს და შვილებს დაუდებს წინ. გამღებიან თუ არა ბარტყები ისევ მამის ფრთას ამოეფარებიან. დე-დას არ ეკარებიან, დედაც თავს არ იწუხებს მათთვის, ხშირათ საჭმელსაც კი ართმევს ბირიდან, მამა არა-სოდეს ხელს არ ახლებს მათ ულუფას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

შინაურ სირაქლემებს კვერცხებზე ჯდომით ფრთები ესვრებათ და ძლიერ უფუჭდებათ, ამიტომაც შემოიღეს ბარტყების სელოვნურათ გამოჩეკა. აკეთებენ დიდ უთს, შიგ კიდევ ექვსი ჰატარა უთია. თითო ჰატარა უთში 10—12 კვერცხს ჩასდებენ მატელში გახვეულებს. კვერცხებს გარს უვლის ცხელი წყლით სავსე მილები, რომლებიც ათბობენ ამ კვერცხებს. აღნიშნულ დროზე კვერცხებიდან გამოიჩეკებიან ბარტყები. დედალი ხელ ახლათ იწყებს კვერცხების დებას. კარგათ რომ კვებამენ მას, ამიტომ წელიწადში სამჯერ მაინც სდებს კვერცხებს. მაგრამ ასეთაც მოხდება დედას რომ გამოაცლიან კვერცხებს —ის აღარ დასდებს ხოლმე. ახლათ გამოჩეკილი ბარტყები გადაჰყავთ სხვა შენობაში—აჭმევენ დაკეფილ ხორცს, ცომს, მოხარშულ ბალახს და სიცივეს და ნოტიოს არ აკარებენ. ხან და ხან აძლევენ ბროწეულის ნახარშს, რომ სირ აქლემას ნაწლევებში მატლები არ გაუჩნდესთ.

*

ამ კარგი მოვლით სირ აქლემები ძლიერ მალე იზრდებიან. თექვსმეტ თვეზე სირაქლემა უკვე დიდია. ესენი უფრო თვინიერი, არიან ჯიდრე გარეულნი. რაც შეეხება სისულელეს ორივენი წრიდან გადასული სულელები არიან, ადამიანი მათ ვერაფერს შეასწავლის.

მწყემსი ილალებს მათ საძოვრათ უბრალო ჯოხით და ფრინველს უმოწყალოთ სცემს თავში და კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერში. ფრინველი უცხოსაც კი არ ერიდება, ხელიდან ხელიდან იღებს, მაგრამ თუ იხელთა დრო უცბათ აანუკვეტს ფოლაქს და მუცელში ჩაუძახებს.

*

კვერცხის დების დროს საშიშია ფრინველთან მიახლოვება. დედალს ხომ კვერცხს უზიანოთ ვერ აცლიან. მუდამ ბრძოლაა ფრინველისა და დარაჯ შუა. ფრინველი ეტაკება მას და შეუძლიან ხელფეხი დაუმტვრიოს თავისი ბრჭყალებით.

*

დიდ სირაქლემებს აცლიან ფრთებს ოთველ რვა თვეში ერთხელ. უწინ ფრთებს ფრინველს გამოსწიწკნიდენ. შეაგდებდენ შემორაგულ ეზოში, საიდანაც გაქცევას ვერ მოახერხებდენ და დაუწყებდენ წიწკნას, ამის გამო სირაქლემები ხშირათ ავათ ხდებოდენ და კიდეც კვდებოდენ. ბატონი მოგების მაგივრათ ზარალს ხედავდა. ახლა კი ფრთებს უკვეცამენ ძირში. კვერცხის დების დროს ფრინველს არ აცლიან ფრთებს, რადგან მათ ფრთები ესაჭიროებათ ბარტყების გასათბობათ.

*

სამხრეთ აფრიკაში ბევრი ისეთი ოჯახია, სადაც 200—300 თავი ფრინველი ჰყავთ. ეს ჯოგები კარ ფულს იძლევიან. სამოთხი თვის სირაქლემა ღირს ასი მანეთი, წვეილი კარგი სირაქლემა, რომელიც გამოდგება მოსაშენებლათ ფასოფს ორი ათას მანეთათ. არც გასაკვირველია. დიდი მოვლა და ბატონობა უნდა. მათი გაშენება ეველგან არ შეიძლება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა ადგილი ქვიშიანი, რადგან სილაში იკეთებენ ბუდეს, საჭიროა რომ ახლოს იყოს საბალახო, საჭიროა რომ მიწაში მოიპოვებოდეს მარილი, რომელიც აუცილებლათ საჭიროა ფრინველისთვის. ახლოს უნდა იყოს ბევრი წყალი, სირ აქლემა უწყლოთ ვერ გასძლებს. ადგილი ფართო — გაშლილი უნდა ჰქონდეს, თითოს ორ ნახევარი ქცევა სჭირდება, და წარმოიდგინეთ რამდენი ადგილი დასჭირდება, როდესაც ჯოგში ორას-სამასი თავია. მერე ეს ადგილი პატრონს შეკავებული უნდა ჰქონდეს, თორემ შესაძლოა ფრინველი გაიპაროს. მართალია არ არი საჭირო მაღალი ღობე, სირ აქლემას არ შეუძლიან მაღლა ასვლა, მაგრამ უსათუოდ უნდა გაკეთდეს ან ქვის გალავანი და ან მავთულის ღობე. ამაზე კი ბევრი ხარჯი უნდებათ.

ფრინველების საჭმელისთვის სჭირდებათ ორმოების გაკეთება, მათთვის თავ-შესაფარები, დარაჯებისთვის ბინა. ფრთების გადასარჩენათაც ბევრი დრო სჭირდებათ: მოკლე — მოკლეს უნდა მიუყენონ, გრძელი — გრძელს. ასოცი — ასოცს და ათი ფრთა ხოლო ერთ გირვანქას იწონს.

გადარჩეულ ფრთებს ალაგებენ ეუთებში; რომ რჩილმა არ გააფუჭოს ზემოდან წაეერიან ან ჰილჰილს ან თამბაქოს. ეუთს ტილოში შეახვევენ, კარგათ დაბეჭდავენ, რომ არავინ მოიპაროს ფრთები და ან არ შესცვალოს ცუდ ფრთებზე და ასე გზავნიან ინგლისში და იქიდან კიდევ სხვა მხარეში.

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი შრომა, ბევრი დრო და გაჭირვება აქვთ დებათ სირ აქლემის მოსაშენებლათ, მაგრამ უშრომოთ არაფერი კეთდება: ამ გაჭირვებით და შრომით დიდ ფულს შოულობენ და დიდძალი სალხიც იკვებება.

ფრთების გულისთვის აძრავლებენ ამ ფრინველს, ფრთების გულისთვის ჟლეტავენ ამ საცოდავებს, რომ კაბწია ქალებს შლიაპები მოურთონ.

ეოველ წლივ გამოაქვთ გასაყიდათ ხუთი მილიონის ფრთა.

ალ. ფალავა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაჭრილის ნაამბობი.



ვენ ტეეში ჩავსაფრდით და მტრებს იქიდან ვესროდით. გაჯწვებოდით ხის ან ბუჩქის უკან, რამდენჯერმე გავისვრიდით თოფს, მერე წამოვსტებოდით, გავირბენდით რამდენიმე ნაბიჯს, ისევ გავწვებოდით და სელ-ახლათ დავიწყობდით სროლას. ასე ტეის ბოლომდისინ მივაღწიეთ. მტრების სროლა თან და თან ძალიან გაძლიერდა. აგერ ჩვენი უფროსის ბრძანება მოგვესმა, რომ იერიშით მივსულიყავით მტერზე.

მე მაშინვე წამოვსტი,—და ამ დროს რაღაც მეცა მხარში და ხელში—ისევ დავეცი, აღარ მახსოვს მერე რა მოხდა. გონს რომ მოვედი ღამე იყო, გარშემო სიბნელე იდგა, მხოლოთ ზემოთ ხეებიდან ოდნავ მთვარის შუქი მოსჩანდა. ფეხზე წამოდგომა მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე, მთელი ტანი დაჭეჭილ-დაბეგვილივითა მქონდა, მხარი მისურდა და ცალი ხელი თითქოს არც კი მქონდა. გარშემო ისეთი სიჩუმე იდგა, რომ შიშის ზარმა ამიტანა, ცრემლები მომადგა თვალებზედ, ბავშვივით სულ მეტირებოდა.

„ეველამ მიმატოვეს—ვფიქრობდი—აბა ესლა ან ვიღა მიპოვის, ესე უნდა ვეგდო სანამ არ მოვკვდები“.

საშინელი წეურვილი მკლავდა, სახეზე ალ-მეური ამდიოდა, სან და სან თითქოს გონებას ვკარგავდი, დიდ სანს ვეგდე ასე... უცბათ რაღაც ფაჩუნი შემოესმა, თითქოს ღრინვაც,—„ეს უთუოთ მგელი იქნება მეთქი გავიფიქრე და რომ მივიხედე—მართლაც რაღაც ცხოველი მოდიოდა ჩემსკენ, მე კი განძრევაც არ შემეძლო, რომ მომეგერებინა ეს ცხოველი, ის მომიახლოვდა, დამსუნა, ხელი ამილოკა—ღმერთო! აკი ძაღლი არ გამოდგა! და ისიც ძაღლი სანიტარი. აქეთ-იქით ჩანთები ჰქონდა გადაკიდებული, სადაც შესახვევი და წამლები ელაგა. ძაღლი მომიწვა და ლოკვა დაბიწეო, სან ერთ გვერდს მომიშვერდა, სან მეორეს, რომ ჩანთიდან ამომეღო რამე, მაგრამ თურმე ორივე ხელში ვიეავი დაჭრილი და ვერაფერს ვახერხებდი. ძაღლმა რომ ჩემი უძლურობა დაინახა სწრაფლათ წამოდგა, ცოტა გაირბინა და საცოდავათ, გულ საკლავათ ღმეილი დაიწეო.

— ამანაც რომ თავი დამანებოს რაღა მეშველება—გავიფიქრე—ძაღლია, აბა რა მოეთხოვება.

— ცუგრია, მურია—დაუძახე—მოდი აქ, მოდი ჩემთან! მოირბინა ჩემთან, ამლოკა რამდენჯერმე და ისევ ღმეილი და ეეფა დაიწეო. ნახევარ საათმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გაიარა, სტვენა შემოესმა, ძაღლმა ერთი შეჭ-ეფა და გაჭქრა.

ცოტა ხანს შემდეგ ფეხის ხმა შემოესმა — ვიღაცეები მოდიოდენ ჩემსკენ, წინ კი ის ძაღლი მოუძღოდათ. გახარებულმა შევეკრიე: — ძმებო, მიშველეთ, ამიყვანეთ!

ბუჩქებში მოძნახეს, ამწიეს და საკაცეზე დამდეს. ძაღლმა შემოძხედა. სიამოვნებით კუდი გაიქნია და ხხვა დაჭრილების საძებნელათ გასწია.

(თარგმანი)

კუდრაჭა.



გამოცანები.

ძველი არის ჩემი გვარი,
ადამ და ევას დროსაო,
სიცივეში არ ვარგივარ,
ვემორჩილები ძილსაო.
საჭმელათ მიყვარს ჩიტები,
არც ვერიდები ტკბილსაო,
მაგრამ შხამით კი ავამსებ,
ვისაც მოვკიდებ კბილსაო.
ან მაშინვე უნდა მოკვდეს
ან მიეცემა ჭირსაო.

—

პატარა ვარ უჩინარი, ყველასათვის უწყინარი,
ჩემი ხმა კი ყველას მოსწონს—ღარიბია თუ მდიდარი.

—

ოთხი სდგას, ერთი გარს უვლის,
ხანდისხან გამოიცვლების,
ამისა გამომცნობელი
ჭკვიანსა დაედარების.

შ ა რ ა დ ა.

ჩინს მოუსვათ გვერდით ანი,
ვითომც არის მეგობარი,
ბოლო უწინდელსა დროში
ნივთი იყო საომარი.
მთელი დარბის აქა-იქა,
როგორც ეული მყეფარი,
ხან იქნება სხვის გულისთვის
სისხლიც დაღვაროს მჩქეფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი.







(ვაზის ბოძი?)

(ცოლის ძოლი?)

გამოცანებისა: ხელი, ცხვარი, ვარსკვლავები, წისქვილი.
აკროსტიხი: ერეკლე.
შარადა: კიდობანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

განთიადი.

ლექსი ბრაზვათ.

აღმოსავლეთს ვარდის ფერათ
გადაეკრა განთიადი...
ცის ლურჯ გუმბათზე ჰქრე-
ბა ვარსკვლავთა გუნდის გრძნე-
ული კაშკაში...
თან მოსდევს ღამის წყვდიადი...

ცეცხლის მეფემ, ამომავალმა ცხოველმა მზემ, ლაჟვარდოვანი ცის გულ-მკერდი სხივთა თაიგულით მოჰქარგა; შეუპოვარ, ამაყ მყინვარის მწვერვალს ცეცხლის ისარი სტყორცნა...

ბუნება გათბა... მაცოცხლებელმა სიომ დაჰბერა...

ილვიძებს მთვლემავი მთა-ბარი... მინდვრებს მწვანე ხავერდი გადაეფარა...

ფოთლილი ტყე საამოთ შრიალებს... ციურ ცვარით დანამული მდელო ნაზათ ბჟყვრიალებს...

აქა-იქ ჟვანავს მთების მკერდიდან მონახეთქი ცელქი ნაკადი და იქვე სადღაც მორცხვათ ჰქრება...

ღილის სიმშვენიერით გატაცებული ფრინველი ტრფობის ჰანგზე დაჰგალობს ხავერდოვან მინდვრებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგერ მგოსანმაც, ღამის მგოსანმაც შტვენავთა მეფამ ჰაერი გასჭრა, ნარნარის მღერით და დილის სიომ ფრთებისა რხევით იგი გადასცა ბუნების ნეტარს.

ხარობს ირგვლივ ყველა... შვება და სიხარულის სხივთა სიმებით მოქსოვილია ტურფა არე...

ყველანი მზის სხივთა ციმციმს და ვარსკვლავთა კაშკაშს შესტრფიან, შეხარიან...

ასეთი საამური სურათის ხილვით, ტანჯვის ცეცხლით დამწვარი გული მიწყებს მეც ძგერას და ჩემი ჩანგი საამოთ ღღერს...

ვხარობ! ვიმღერი და მწამს, რომ მალე სამშობლოს ცის წიაღზე გამოჩნდება ნიშანი მუდმივი მხიარულებისა... ბედნიერებისა...

მანაშვილი..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამიშვი, რას მემართლები.

ვიმონამ პატარა ფერდობზედ ისეთი სახლი გამოჭიმა რომ ავი თვალით არ ინახოდა. მის კარსა და ფანჯარას ლურჯი საღებავი მიუსვამოუსვა და განზედ გამდგარმა სიამოვნებით შეათვალიერა. ახალმა სახლმა, თავისი შეღებილი კარ-ფანჯარით, როგორც ცალ-თვალა ლურჯმა ყვავილმა ისე გამოაჭყიტა. ამოვიდოდა მზე თუ არა, უწინ სიმონას ფანჯრის მინაზედ მისი შუქი ცეცხლივით აინთებოდა და იქ შელაპლაპებული სხივები, ქვემოთ, შაქროს დერეფნისაკენ მაჯავრელასეებ გამოქანდებოდა. თუმცა სვიმონა და შაქრო ძმები იყვნენ, მაგრამ ერთმანეთში დიდი განხეთქილება ჰქონდათ. მიზეზი კი სულ ერთი ბოხჩა ბაგა იყო. იმათი მამა რომ კვდებოდა მამა-პაპეული მამული თუმცა ორივე ძმებს თანაბრათ გაუყო, მაგრამ პატარა ბაგა სვიმონას უანდერძა, რადგან ის ბაგა იმისი ცოლისა იყო, დედას კი სვიმონა ძლიერ უყვარდა და გარდა მაგისა ის ბაგა იყო და სვიმონას ჯანი. მუდამ ისე მუყაითად მუშაობდა და ისე აკოხტავებდა, რომ თვალი ყველას ზედა რჩებოდა. დედამ იმის ბედზედ ვალში ათ თუმნად შეიძინა და რომ კვდებოდა თევდორეს უთხრა: „სული არ წამიწყმიდო, ჩემს სვიმონას არ გამოსწირო ჩემი ბაგაო“.. და აი, ეს იყო მიზეზი რომ თავისმა ძმა, შაქრომ, მას შემდეგ ამოიმძულარა და იმისაგან მოსვენება აღარა ჰქონდა.

— აი, ოხრად დაგირჩეს და ტიალად გაგიხდეს, რაღაც მეტივეს ხუხულასავით რომ წამოგაყუნტებიაო, ბრაზ-მორევით დილა ადრიან გამოვიდოდა თუ არა იტყოდა შაქრო და მუდამ იმასა ჰფიქრობდა ფულები სად ევალა, რომ იმის ჯიბრზედ ძველი დარბაზი დაენგრეა და ათჯერ უკეთესი სახლი აეშენებინა. იმისი ცოლი ფეფე კი სვიმონას სახლის დათავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზედ პირდაპირ გადაირია. სად იყო სად არა რაზედმე ძალლივით აღრენილი ყველაფერს, რაც კი სახლში რამ ებადა სულ გარედ გამოზიდავდა. ქოთნები იყო თუ ლოგინი, ქვაბები თუ ის ოხრათ დასარჩენი, პაწია სამოვარი, სწორედ იმათ პირდაპირ ისიც მზეზედ გამოსდგამდა და თავისი ავეჯეულობით თვალებს უბრმავებდა.

— სახლი თუ გამოჭიმეს, მაგათმა გაწყვეტამ, ვითომ სარჩოთი აუმსიათ. ღვთის მადლით, მაგ სახლის აშენების გამო ისე არიან მოლოკილები, რომ შინ კატა არას შეუჭამთ და გარეთ ძაღლი. აქ შემოხედონ, ერთი ჩემი ინგლიცური ქილა მთელ მაგის სახლად მიღირს, დაუდგეთ თვალი!—ბუტბუტებდა შაქროს ცოლი და თეთრ თავშალ წაკრული ლობის მარგილებზედ ქოთნებს და ქილებს ამხობდა. ზოგჯერ დოინჯ შემოყრილი მზეზედ შეპრიალებულ სამოვართან გამოიჭიმებოდა და შინ თავის ქალს ხმა მაღლა შეესძახებდა:—გოგო—პელო, ზანდუკი ახადე და ყალამქრის საბანი გამოამზევე, თორემ ნესტის სუნი აუვიდოდაო.—რის ნესტის სუნი, რის ჯანდაბა, საბანი მეტი გამომზევებისაგან დაიწვა, მაგრამ აბა მეტი რა საშუალება ჰქონდა, რითი მოეფხანა ბოროტით სავსე გული, თუ არ ჯიბრითა და დავიდარაბით. სულ ცოტა რამე იყო საკმარისი რომ გულძვირა ფეფეს ჩხუბი აეტეხა, თუმცა სვიმონა ძლიერ ერიდებოდა იმათთან ჩხუბსა და დავიდარაბასა. ბევრჯელ შექეიფიანებული შაქრო სადავიდარაბოდ ხან რას მოიმიზეზებდა, ხან რას, დაკრეჭდა სიბრაზით კბილებს და ლობედან მუქარით დაიქუხებდა. სვიმონა თუ სახლში იყო შიგნი შიგან შეიკეტებოდა, რომ გული არ აღელვებოდა და არ გამოჰლაპარაკებოდა. თუ ვენახში მოასწრობდა, ფეხს იშვერდა, ლობეს იქით გადახტებოდა და იმის ყაყანს გაეცლებოდა. ვინ იცის კარ-მიდამოზედაც რამდენჯერ ამოეჭრა, უნდოდა შფოთი და ბოროტი გამოეწვია, მაგრამ ცოლ-შვილი ისე ჰყავდა გაძრახებული, რომ კრინტს არავინა სძრავდა. როგორც მწყერები ისე გატვრინდებოდენ. სვიმონა სიბრაზით კანკალებდა და ფითრდებოდა. იმისი ცოლი სალომე კი კუთხეში მიჯდებოდა და ჩუმათ იქოქებოდა. ბავშვები, სამი წლის ქეთა და ათი წლის ილიკო, დედ-მამას შეშინებულნი შესცქეროდენ. იმათში მარტო პაწია გოგიას აინუნშიაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი არ მოსდიოდა. იმ დროს როდესაც ყველა ... ლებივით იცქირებოდენ, გოგიას დედის კალთაზედ შეისევანი გაჰქონდა. ის პაწია ხელით დედას პირზედ წკაპა-წკუპს აუტეხდა, ხან მუხლებზედ ხტომას იწყებდა, თან იცინოდა და ზოგჯერ დაყურსებულ თავის და-ძმას სიცილსა ჰგვრიდა.

ერთი სიტყვით, რაც ძმები გაიყარნენ, მას შემდეგ მათ შორის მშვიდობიანობა არ ჩამოვარდნილა. ისე წელიწადი არ გავიდოდა, რომ შაქროს თავისი ძმის ოჯახი ერთი ოთხჯერ მაინც არ დაეწიოკებინოს. იმათ ჩხუბს ჯანი გავარდეს, ბავშვები იყვნენ დიდ ვაისა და გაჭირვებაში. სვიმონას პატარა ბალღები ბიძას ისე ერიდებოდენ, როგორც ცეცხლს. ერთ ამგვარ ჩხუბსა და დავიდარაბის დროს, როცა შაქროს ცოლმა ჯიბრზედ მთელი სახლი გარედ გამოიტანა, ჭალაში მოთამაშე ბიჭებმა ერთი ქოთანი გაუტეხეს. იმათთან ერთათ სვიმონას ილიკოც ერია. ბავშვები ხბორებს აძოვებდენ და თან ჩიტებს დასდევდენ, სამი ბიჭიც სხვა იყო. ისინი ქვის სროლით წანწყარას გამოეკიდენ. წანწყარას მაგივრათ ერთი ქვა ზემოდ გაჭანდა, მარგილზედ ჩამომხობილ ფეფეს ქოთანს ეცა და გრიალით ძირს ჩამოიტანა. ეს ამბავი საკმარისი იყო ისეთაც გააფთრებულ ფეფესათვის, რომ უარესი ყაყანი შეექმნა. გამოირკვა, რომ ბიჭების ბრალი იყო, მაგრამ მაინც არ დაიჯერა, ილიკომ სიშურით გამიტეხაო, რადგან სიმტრეს იმის მეტი ამას სხვა ვინ მიზამდაო, თან ისიც ზედ დააყოლა— „თქვენი ჭირიმე, ძაღლისა ბატკანი ვის უნახავსო“. შაქრო იმ დროს დერეფანში იჯდა და პურსა სჭამდა. შეიტყო თუ არა რაშია საქმეო, იმ წუთშივე გაალმასებული ჭალისაკენ გამოქანდა. გულ გახეთქილ ილიკოს წიწილასავით გაგლეჯავდა, იქ რომ დახვედროდა. მაგრამ ბიჭებმა დროით დასჭყივლეს, არიქა ილიკო თავს უშველეო...და ყველანი დროზედ გაცვინდ-გამოცვინდენ. მას შემდეგ, როგორც ჭორს, ილიკო ბიძას გულის კანკალით და ცახცახით ერიდებოდა, რადგან გადაკიდებული ძლიერ ემუქრებოდა—სადაც მოვასწრობ, ცხვირს დედა-მიწაზედ უხლიო. ეს შემთხვევა საკმარისი იყო სვიმონასათვინ, რომ თავისი ფიქრი აღსრულებაში მოეყვანა. მას დიდი ხანია უნდოდა ბავშვი ხელობაში შეეყვანა. ამბობდა რომ ჯერ ოჯახში მივცემ, საქმესთან ერთ დ ცოტა წიგნს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზრდილობას ასწავლიან და იქნებ მერე თვითონვე ხელიც წამიმართონ და სახელოსნო სასწავლებელში მიმიბარონო. მაგრამ შვილის გარედ გამოყვანა პირველათ ისე უმძიმდა. რომ გაიფიქრებდა თუ არა, თვალები ცრემლებით აევსებოდა. ილიკო სიყრმის შვილი იყო და მასთან მაღალი ტანისაც მოდიოდა. სვიმონა შეხედავდა თუ არა, გულში სიხარულით გაიფიქრებდა, საცაა ამხანაგათ მომესწრებაო და ჩემი მარჯვენაც ეს იქნებაო. ახლა კი ძმის იმ გვარმა გადაკიდებამ მალე გააბედვინა გარეთ გამოსვლა. ადგა და ერთ კაი დღეს შვილი წინ გაიძღოლა და ქალაქისკენ გამოსწია. ახალი ჩუსტებით და წითელი ხალათით გახარებული ილიკო ქალაქში უფრო გამოცოცხლდა. ჯერ იმან ძლიერ გააკვირვა, რომ იმოდენა დართული ხალხი, როგორც კაი დღეობაში აქ ისე ირეოდა. ნეტა ვიცოდე, სად მიდიან, ან ასე რას ეშურებიან, ფიქრობდა თავისთვის ილიკო და თვითონაც რაღაც ძალასა და მოძრაობის სურვილსა გრძნობდა. ოჯახი, სადაც მამამ ილიკო დააყენა, ძლიერ კარგი და პატიოსანი გამოდგა. მერე ბავშვებიც ბევრი ჰყავდათ!.. ყველა ბავშვები ილიკომ ერთი შეხედვით ისე მიიზიდა, რომ იმას აღარ შორდებოდენ, დასდევდენ უკან, ხან სამზარეულოში, ხან საკუჭნაოში, ხან ბანზედ, ერთი სიტყვით ილიკოს საცა კი საქმე გამოუჩნდებოდა ბავშვებიც მუდამ ნაზირ-ვეზირივით თან ახლდათ. ბარემ ძლიერ ცოცხალი და მასიამოვნებელი ბიჭი გამოდგა ილიკო, მაგრამ მას ერთი ჩვეულება სჭირდა და იმაზედ კი არავინ არაფერი იცოდა. არ ვიცი, მამას რომ შვილი მოსაშორებლათ არ ემეტებოდა იმის ჯავრზედ დაავიწყდა, თუ რა იყო იმის თავს, სახლის უმფროსისთვინ წამოსვლის დროს არაფერი კი არა უთქვამს რა. საქმე იმაში იყო, რომ ილიკო, როცა ან ჩხუბს შეესწრებოდა, ან მოიქანცებოდა, იმ ღამეს მძინარე უსათუოდ ლოგინიდან ხან ჩუმათ, ხან შეშფოთებული წამოვარდებოდა და სადღაც მიდიოდა. ამას სახლში ყურადღებას არ აქცევდენ, დღე რომ ცელქობს და ქვეყანას იკლებს, ვენაცვალე ამას, ღამეც აღარ ისვენებსო, ამბობდა იმისი დედა, ზეზე წამომდგარ ბავშვს აკოცებდა და ისევ გვერდით მიიწვენდა.

სხვის ოჯახში ილიკოს პირველ ხანს თითქოს ეშინიანო, ჭკვიანათ იქცეოდა, ეს კი იყო ერთი-ორჯერ წამოდგა. ხან

საწერ მაგიდიდან მელანი სასადილო მაგიდაზედ გადმოდგა, იქიდან ჩაის ჯამი წიგნებზედ დადგა. მეორეთ ცოცხი ხალიჩა-განლაც გამონახა და გვერდ მიიწვინა. ხან კი ისეთ ლაპარაკს გააბამდა, ეგონებოდათ მუსაიფობს ვისთანმეო. მაგრამ ყველა ეს ჯერ შეუმჩნეველი რჩებოდა, რადგან ილიკო იმ ოთახს არა სცილდებოდა, საცა მარტო თვითონ იწვა. თუმცა სამი კვირის შემდეგ მაინც ყველაფერი გამომჟღავნდა. ერთ საღამოს ილიკოს თავი სტკიოდა და მოლასავით პირსახოცით თავი შეეკრა და ისე დაწოლილიყო. 12 საათის შემდეგ სახლში სიჩუმე დამყარებულიყო, რადგან ყველას დაეძინათ, გარდა სახლის უმფროსისა, რომელიც თავის ოთახში საწერ მაგიდას მისჯდომოდა და რაღაცას სწერდა. ილიკო სწრაფად წამომდგარიყო, თავისი საბანი ფილონივით მოესხა, ბალიში იღლიაში ამოედო და სადარბაზოდ გამობრძანებულიყო. ბავშვებს ვერაფერი ვერ შეეტყოთ, რადგან განაპირ ოთახში იწვნენ, მეორე ოთახში კი, სადაც სახლის უფროსი მუშაობდა, ილიკო ჯერ შუა ოთახში შეჩერებულიყო, თითქოს რაღაზედაც ჩაფიქრდაო, მერე სახლის უმფროსის გამზადებულ საწოლზედ თავისი ბალიში არდი-გარდმო დაედო და რომ დაწოლას აპირებდა, განცვიფრებული უმფროსი ნელა შეჰკითხებოდა:— ილიკო, რასა შვრებიო? ილიკო გამალებით ისევ თავის საქმეს განაგრძობდა. მეორე შეკითხვაზედ იგი უცებ გაშტერებულიყო, თავიდან პირსახოცი მოეხსნა და დარცხვენით თავისი ბინა მოენახა. მეორე დღეს ყველამ გაიგო ეს ამბავი; პატარა ბალღები სიცილით კვდებოდენ და ილიკოს ეკითხებოდენ— ბიჭო, სად მიდიოდი, შამა ჩემს ადგილზედ რად ეცილებოდი? ილიკო სირცხვილით იწურებოდა და სულ იმას ფიქრობდა, რა მოეგონა ისეთი, რომ მაგგვარი სირცხვილი თავიდან აეცილებინა. იმ ღამის შემდეგ ყველა თვალს ადევნებდა, ელოდნენ, რომ ძილში ილიკო კიდევ რასმეს მოიგონებსო, მაგრამ ილიკო თითქო ჯიბრზედ აღარა დგებოდა.

გავიდა კარგა ხანი. ერთ საღამოს იმ ოჯახს სტუმრები ეწვივნენ. ილიკო ერთ წამს დაფაცურდა, აღარ იცოდა რომელი საქმე უფრო მარდათ და უფრო სუფთათ გაეკეთებინა. დუქანში, ხომ ბარემ სამჯერ გაგზავნეს. სტუმრები ღამის პირველ საათზედ წავიდნენ. ამის გამო დაღლილ ილიკოს ძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ძლიერ გვიან მოუვიდა. სტუმრების წასვლისას ის ერთ პირ ძილს ყველა ტკბილათ მიეცა, როდესაც სასადილო ოთახში ერთი შეისევანი და ყვირილი ასტყდა.

— გამიშვი, გამიშვი, გამიშვი, რას მემართლები. ვაიმე. მიშველეთ — ყვიროდა ილიკო ბნელაში და თან მაგიდას, რომლის გვერდითაც ის იწვა ძალზედ არახუნებდა. ყველა გულ გახეთქილი ფეხზედ წამოდგა. ზოგი სანთელს ეძებდა, ზოგმაც წუმწუმის ძებნის დროს ხან რა დააბრახუნა, ხან რა!

— რა იყო, ილიკო, რა დაგემართა, რამ შეგაშინა — დაყვავებით ეკითხებოდენ პერანგის იმარა თავზედ წამომდგარი დიდი თუ პატარა, ხმაურობაზედ ილიკო მალე გამოერკვია, ერთი წამით გაჩუმდა. მერე ისევ ტირილს მოჰყვა და ტირილითვე მაგიდის ფეხზედ ხილაბანდით მიბმულ თავის ფეხს განთავისუფლება დაუწყო. თურმე ნუ ბრძანებთ! რაკი ღამე ადგომისა ეშინოდა ყოველ ღამე ფეხს ისე იბამდა და ძილში ამდგარს რომ მაგიდა წინააღმდეგობას უწევდა — ეღვიძებოდა. ამ ღამეს თავისი ციცა დასიზმრებოდა.

— უკან მომდევდა, ცული უნდა თავში ჩაერტყაო; მინდოდა ნაფუზარში გადავმხტარიყავ, ვეწვალებოდი, გაქცევა მინდოდა და ვილაც შავი დედაკაცი მიჭერდაო — გულ ამოჯდარი ძლივს უამბობდა შეშინებული ილიკო და თან მაგრა შენასკულ ფეხს გასახსნელათ ეჯაჯგურებოდა.

ცქვიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ისტორია.

(დასასრული)

აიმართა კორრესპონდენტთა ბიურო, სადაც ყოველ მსურველს შეეძლო მიეღო საჭირო ცნობა სხვა და სხვა პოლიტიკურ საკითხზედ, სავაჭრო საქმეზედ, საქონლის ფასებზედ, გემების წასვლა-მოსვლის ამბავი სხვა და სხვა ქვეყნებში, შეეძლო გაეგო თუ რამდენათ სახიფათოა მოგზაურობა და სხვა და სხვა. ასეთ ბიუროს ვხედავთ ჩვენ უკვე XVI საუკუნეში —ვენეციაში, ნიურენბერგში და სხვა ქალაქებში.

გარდა ამისა ბევრი კერძო პირი ამ ცნობებს გამოსცემდა ხოლმე, როგორც ახალ ამბებს.

ვენეციაში ამ გვარი ფურცლები ძლიერ გავრცელებული იყო. იქ ეს საამბო ფურცლები ძლიერ იაფათ იყიდებოდა, ის ღირდა ერთი „გაცეტი“ ($3^1/_2$ კაპეიკი) შემდეგში ამ ფურცლებს დაერქვა გაცეტი. მერე აქედან გამოვიდა სიტყვა გაზეთი: ამ ფურცლების გამომცემლებს კი ეძახდენ მეგაზეთეებს.

აქ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ამ მეგაზეთეების მოღვაწეობა იმდენათ დიდ მნიშვნელოვანათ მიაჩნდა მმართველობას, რომ თვითონ სახელმწიფო არ აკლებდა მათ თავის ყურადღებას.

1576 წელს გამოვიდა რომის პაპის ორი განკარგულება (ბულლა), რომელშიაც სასტიკათ იყო აკრძალული კორრესპონდენციების წერა, ვინც კი განაგრძობდა წერას, მას მოელოდა სასჯელათ დადაღვა და კატორღა. მაგრამ არც ასეთმა სასჯელმა დააშინა ხალხი. ამ ძნელ პირობებშიაც წერას მაინც არ დაანებეს თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას ხელს უწყობდა გზების გაუმჯობესობა, ამითი გადავილდა შიკრიკების გაგზავნ-გამოგზავნა, და მერმე იმანაც გაადვილა საქმე, რომ იმპერატორმა მაქსიმილიანმა დააარსა ფოსტა ჰოლანდიის და ქალაქ ვენის შუა.

შემდეგში ორგვარათ აგროვებდენ მასალას: შიკრიკების და ფოსტის მოხელეების დახმარებით. გერმანიაში გაჩნდა ბევრი დიდი სავაჭრო დაწესებულებები, ამათ ჰქონდათ კავშირი მთელ ევროპასთან. მათ ყოველგან ჰყავდათ თავისი წარმომადგენელები თავის აგენტებისაგან იგებდენ ისინი ამბებს. ამ ცნობებს და ამბებს ისინი აგროვებდენ და შემდეგში გამოაქვეყნებდენ. რადგანაც ვაჭრობაზედ დიდი გავლენა აქვს სხვა და სხვა მიზეზებს, მაგალითად — პოლიტიკურ მოვლენას, ომს, სახელმწიფოში არეულობას, გზების მდგომარეობას, ამიტომაც მსურველი ბევრი იყო მიეღო ეს ცნობები. დანიშნული იყო ფასი ამ გამოცემებისათვის. და ამ გაზეთებში სხვა და სხვა ამბებიც იყო მოთავსებული. მაგალითად: მოსავლის ამბავი, ფასები სავაჭრო ნივთებზე, აქვე მოყვანილი იყო სია ახალი გამოსული წიგნებისა, ცნობები თეატრის და გასართობების შესახებ. აცხადებდენ რეკლამებს.

ასეთივე ხელთნაწერი გაზეთები იყო სხვა ქვეყნებშიაც. ამის წინ იყო გავრცელებული „ზეპირი გაზეთი“. ძლიერ საყურადღებოა გაზეთის განვითარების ამბავი საფრანგეთში. აქ მისი ისტორია ცოტა სხვანაირია, ვიდრე დანარჩენ ქვეყნებში.

პარიზის მოედანზე თავს მოიყრიდა ხალხი და ერთმანეთს გადასცემდა ამბებს. აქ გაიგონებდით ხელმწიფეზე, ან მის კარის-კაცებზე სხვა და სხვა ახალ ამბებს, ჭორებს. მერე თანდათან შესდგა ჯგუფი ისეთი პირებისა, რომელნიც ავრცელებდენ ახალ ამბებს, მმართველობა სდევნიდა მათ, მაგრამ ამაოთ. ისინი ნიშნავდენ კრებებს, სადაც ერთმანეთს ატყობინებდენ ახალ ამბებს, სხვა და სხვა ცნობებს. ეს იყო კრებები „ნუველისტებისა“, ანუ ახალ „მოამბეებისა“. გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ასეთ პირებმა დაიწყეს ამ ახალი ამბების გადაწერა. ამ ფურცლებს გზავნიდენ სხვა ქალაქებშიაც. ბევრ წარჩინებულ პირს, მაგალითათ ჰერცოგ მაზარინს ჰყავდა თავისი „ნუველისტები“ ახალი მოამბები, რომელნიც ტყობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდენ დაწერილი ფურცლებით ყოველისფერს. ასეთი ფურ-
ცლები ძალიან გავრცელდა და შემდეგში გამოდიოდა დრო
გამოშვებით. ასე გაჩნდა ჯერ პატარა გაზეთი, რომელიც დიდ
ხანს არ ჰკარგავდა თავის მნიშვნელობას საფრანგეთში და
მიიღო სახელი „სახელდახელო ახალი ამბები"-სა.

თუმცა გამოიგონეს ბეჭდვა, მაგრამ ეს ხელთნაწერი
ფურცლები კი ისევ ისე ვრცელდებოდა. ეს აიხსნება ორი
მიზეზით: დასაბეჭდ გაზეთს უნდა გაევლო სასტიკი კანტრო-
ლი (ცენზურა) მართველობის მხრით. ყველა საგნებზე არ
შეიძლებოდა წერა. ზოგზე აკრძალული იყო. ამ პაწია ხელთ
ნაწერ ფურცლებში, რომელსაც მმართველობა ვერ ადევნებდა
თვალს კი ყოველისფერზე სწერდენ.

კიდევ სხვა მიზეზი იყო. გაზეთის ბეჭდვა ტეხნიკურათ
არ იყო კარგათ მოწყობილი და მისი დაბეჭდა ძვირათ
ჯდებოდა, ხელის მომწერთა რიცხვი კი არ იყო იმდენათ
ბევრი, რომ გაზეთს აეტანა ხარჯი. ამიტომაც ხელთ ნაწერი
ფურცლები დიდხანს არა ჰკარგავდენ თავის მნიშვნელობას.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, ბეჭდვას დიდი მნიშვნელობა
ჰქონდა გაზეთის განვითარებაში. პირველ ხანებში გაზეთის
ფურცლებ შუა არ არსებობდა არავითარი კავშირი. ყოველ
ფურცელს ადგენდა სხვა და სხვა პირი.

მხოლოთ მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოში შევამჩნევთ
კავშირს გაზეთის ნომრებთა შორის. თითქოს არის ახლა ერთი
გამოცემა და წელიწადში ორხელათ გამოდის. გაზეთი
უფრო ხშირათ გამოდიოდა, თუ ჩვეულებრივი რამე არ და-
უშლიდა. გაგზავნა გაზეთის ძნელი იყო ამიტომაც უცდიდენ
დიდ ბაზრობას, რომ გაევრცელებინათ ნომრები. ეს ჩვეულება
შეიცვალა, რადესაც მოწესრიგდა ფოსტის საქმე.

დიდ ხანს გამოუკვლეველი იყო პირველათ სად დაიბეჭ-
და გაზეთი. ამბობენ ვითომც ჯერ კიდევ 911 წ. ჩინეთში
არსებობდა გაზეთი. ახალი ცნობებით პირველი დაბეჭდილი
გაზეთი გამოიცა სტრასბურგში, 1609 წელში. სხვა ცნობები-
დან სჩანს, რომ ის გამოდიოდა 1609 წელზე ადრეც, მაგრამ
რა დროიდან—ეს არა სჩანს.

უკვე 1619 წ. ფრანკფურტში გამოდის სამი გაზეთი.
ამავე დროს გერმანიაში გამოდის ყოველ-კვირეული გაზეთიც;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისშიაც, ჰოლლანდიაშიაც და საფრანგეთშიაც იყო ასეთი გაზეთები, მაგრამ გერმანულმა გაზეთებმა დიდხანს ვერ იხეირეს. ოცდა ათი წლის ომმა გაანადგურა ეს ქვეყანა და ბევრი მასალაც დაიკარგა, რომლის მიხედვით შეგვეძლო აღგვედგინა იმ დროის გაზეთის ისტორია. ცოტაოდენი გადარჩენილი იმ დროის გაზეთები მოიპოვება სტოკჰოლმის წიგნთსაცავში. შვედელი ღენერლები. რომელნიც თავისი ჯარებით გერმანიაში იმყოფებოდენ — გზავნიდენ სამშობლოში გაზეთებს და ამ რიგათ ზოგიერთი ნომერი გადარჩა დაუკარგავი.

ბევრმა ხანმა გაიარა სანამ გამოვიდა ყოველ-დღიური გაზეთი. ლეიპციგში, 1690 წ. გამოვიდა პირველი ყოველ-დღიური გაზეთი.

ეს მოვლენა მეტათ შესანიშნავია, რადგან ეს გაზეთი დღემდის გამოდის მმართველობის ხელმძღვანეობით.

სხვა ქვეყნებში უფრო გვიან შემოიღეს გაზეთი ვიდრე გერმანიაში: ინგლისში გამოვიდა ასეთი გაზეთი 1740 წელს, საფრანგეთში მხოლოთ 1777 წ. რაც შეეხება ამ გაზეთების შინაარს — შიგ ბევრი არაფერია, აღნიშნულია მხოლოთ ფაქტები და სხვა და სხვა ამბებია მოყვანილი.

გარეგნობითაც არა ჰგავს ეს გაზეთი ჩვენსას. იბეჭდებოდა ის ცუდ ნაცრის ფერ პატარა ფურცლებზე. შიგ ბევრი შეცდომები იყო და ცუდი ასოებით იბეჭდებოდა.

თან და თან გაზეთი ცოტ-ცოტა უმჯობესდებოდა. უფრო ხშირათ გამოდიოდა და გაიაფდა კიდეც, ქალალდიც გაუმჯობესდა, კერძო პირების ხელში აღარ იყო. ახალი ამბების მომტანთა მაგივრათ მუშაობდენ სხვა და სხვა თანამშრომლები, რომელნიც აგროვებდენ მასალას, არჩევდენ მას, ყოველ თანამშრომელს თავისი საკითხი ჰქონდა: ერთი სწერდა ლიტერატურაზე, მეორე ხელოვნებაზე, მესამე პოლიტიკაზე და სხვა.

ტეხნიკური მხრითაც გაზეთი გაუმჯობესდა; შემოიღეს ტელეფონები, ტელეგრამები, საბეჭდავი მანქანები. ახლანდელ გაზეთს საათში ბეჭდავენ 140,000 ეგზემპლიარს.

რუსეთს არ გამოუვლია გაზეთის შემოღებაზე ამდენი გაჭირვება, როგორც დასავლეთ ევროპას, რადგან რუსეთის კულტურა რამდენიმე საუკუნით უკან იყო ჩამორჩენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემოჰქონდა მზა-მზარეულათ თავის ქვეყანაში უკვე სხვა ხალხისაგან დიდი შრომით შეძენილი კულტურა.

ჩვიდმეტ საუკუნემდის რუსეთში გაზეთის ხსენებაც არ იყო. ხოლო მეფე ალექსი მიხეილის ძის დროს სასახლეში მოჰქონდათ უცხო ქვეყნის გაზეთები. ამ გაზეთებს თარგმნიდენ მეფის და მისი კარის კაცთათვის.

როდესაც პეტრე დიდი ავიდა ტახტზე მან გაიგო რა დიდი მნიშვნელობა ექნება გაზეთს სახელმწიფოსთვის. ის იყო გაზეთის პირველი შემომღები რუსეთში. გაზეთი ყოველ გვარ ცნობებს აძლევდა ხალხს, როგორც ომების შესახებ, აგრეთვე ვაჭრობაზე, ხალხის განათლებაზე და სხვ. თუმცა გაზეთი ღირდა ორი კაპეიკი, მაგრამ მყიდველები ძალიან ცოტანი იყვენ. ეს ნიშნავს რომ მეთვრამეტე საუკუნეშიაც კი რუსეთი ჩამორჩენილი იყო.

შემდეგ ცოტ-ცოტა რუსეთშიაც განვითარდა ბეჭდვის საქმე და ახლა გაზეთებიც და ჟურნალებიც ბლომათ არის გავრცელებული მთელ რუსეთში.

ალ. ფ—სი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ ი მ ე რ ა.

ნატ გოტორნის ზღაპარი.

(დასასრული)



ანგრძლივ მოგზაურობას საცაა ბოლო მოეღებოდა. ფრთოსანი ოაში თავის მხედრით, თეთრ ნისლში გახვეული, ნელ-ნელა ეშვებოდა ძირს. ბელლეროფონს თვალ წინ გადაეშალა მთელი ლიკია თავის მწვერვალებით და ხეობებით.

პირველათ ჭაბუკმა ვერაფერი გაარჩია ამ გახრიოკებულ მიდამოებში, ბოლოს დაინახა გადაბუგული, გაოხრებული და საქონლის ლეშით მოფენილი ველ-მინდვრები.

ამ ფიქრებში რომ იყო უცებ თვალი მოჰკრა, რომ ერთ გამოქვაბულიდან მოჩანდა სამ სვეტათ, შავი ბოლი. ეს გამოქვაბული სწორეთ პეგასის დასწვრივ, ათას ფუტით დაშორებული იმყოფებოდა, აქედან ამოსულ ბოლს კი ისეთი გულშემზარავი სუნი ჰქონდა, რომ ჩვენ მხედარს ცხვირის ცემინება აუტყდა და კეთილი დღე არც რაშს დაუდგა; ამ გალალებულ ცხოველს, დაჩვეულს მთის წმინდა, მშვენიერ ჰაერს, ძალიან ეუცხოვა მყრალი სუნი და ისე მძლავრათ შემოჰკრა ფრთას, რომ თითქმის ნახევარ მილზე დაშორდა ამ ადგილს.

ბელლეროფონმა მოიხედა უკან და ისეთ სურათს მოჰკრა თვალი, რომ იძულებული იყო პეგასი უკან გამოეტრიალებინა, და რაშიც დაუყონებლივ დაეშო ნელ-ნელა დედამიწისკენ და ორ ადლის სიმაღლეზე გაჩერდა. აქედან, მართლა კარგათ სჩანდა იმ გამოქვაბულის შესავალი, საიდანაც შავი მყრალი ბოლი გამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც უცნაური და საშინელი ქმნილებანი, ეოთ-
გადაწნულ-გადახლართულნი ფუთფუთებდენ შიგ. პირველ შე-
ხედვით ვერ გაიგებდი ვინ ან რა იყო ეს საკვირველი ქმნი-
ლება, მარტო თავებს ოუ გაარჩევდი. ერთი მაოგანი იყო
უშველებელი გველის თავი, მეორე ლომისა და მესამე ულ-
გავსი თხისა. ლომს და თხას ეძინათ, მარტო გველს დაეჭუი-
ტა თავის ცეცხლივით თვალები და ფხიზლობდა. ყველაზე
საკვირველი კი ის იყო რომ, როგორც ეტყობოდა ეს საძა-
გელი კვამლი ამ სამივე თავებიდან ამოდიოდა

ეს საკვირველი სანახაობა თუმცა ადრევე მოსალოდნე-
ლი იყო ჩვენი გმირისთვის, მაგრამ მაინც უეცრივ ვერაფერი
მოისაზრა, რომ მის წინაშე საშინელი მხეცის, ხიმერას
ბუნაგია. გველი, ლომი და თხა, აქამდინ ბელლეროფონის
ფიქრით ცალ-ცალკე არსებანი იყვენ, ეხლა კი თავის თვა-
ლით ხედავდა იმ სამთავეს—ერთ, მთლიან არსებათ.

უჰ! საძაგელი ბოროტი ქმნილება! სანამ მისი ორი თა-
ვი ძილში იყო, უკვე მესამე თავი შეჰსლაპამდა ან ბატკანს ან
ბავშვს. აი ეხლაც თავის ბრჭყალებში ჩაებლაუჭა ვიღასაც სი-
სხლიანი ხორცის ნაგლეჯი!

უცებ ბელლეროფონი შეკრთა, თითქო სიზმრიდან გამო-
ერკვია: მხოლოთ ამ წუთში მიხვდა, რომ მის წინ ხიმერა
იყო. პეგასმაც ოდნავ დაიჭიხვინა, თითქოს ისიც ეხლა მიხვდა,
რა საძაგელი ქმნილებაა მის წინ. ამ ჭიხვინზე სამივე თავი
შეინძრენ, ფიცხლავ წამოიწიეს, პირიდან საშინელი ცეცხლის
ალი ამოხდათ და მინამ ბელლეროფონი გონებას მოიკრეფდა
ხიმერა უკვე გარეთ გამოიჭრა, მან თითქო საფთხე იგრძნო,
მსწრაფლ გაეშურა მტრისაკენ: წინ საშინელი ბჭყალები გაე-
შვირა, უკან, ჰაერში, კი თავის უშველებელ გველის კუდს
აქნევდა. რომ პეგასი ფრინველისავით სწრაფი არ ყოფილი-
ყო, უსათუოთ მხედარიც და რაშიც გაცოფებულ ხიმერას
ვერ გადურჩებოდენ და ბრძოლა დაწყებამდის დასრულდე-
ბოდა. საბედნიეროთ, ჩვენ ფრთოსან რაშის დამარცხება არც
აგრე ადვილი იყო: თვალის დახამხამებაში იგი უკვე ჰაერში,
თითქმის ღრუბლებში გაჰქრა. იგი იქ სულ თრთოდა, არა
შიშით, არამედ ზიზღით საძაგელ ცხოველისადმი.

არც ხიმერას უნდოდა ჩამორჩენოდა რაშს: მან თავები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ მაღლა აიწია, კუდზე დაბჯენილი ის გაბრაზებული იქნა
და სამივე თავებს და თან სამივე პირიდან ანთქევდა ცეცხლის
ალს.

ბელლეროფონმა მარდათ მოიმარჯვა ფარი და იძრო მა-
ხვილი.

— ეხლა კი, ჩემო ძვირფასო პეგასო, უნდა ეცადო მო-
მაკვლევინო ეს საძაგელი ქმნილება, თორემ უჩემოთ მარტო
დაბრუნდები გელიკონის მწვერვალზე; ან ხიმერა დაიღუპება,
ან მისი სამი თავი გადაყლაპენ ჩემ თავს, რომელიც არა
ერთხელ ყოფილა დაყრდნობილი შენ კისერზე. წასჩურჩულა
ჭაბუკმა თავის მეგობარს.

პეგასმა, პასუხის მაგივრათ, დაიჭიხვინა, ასწია მაღლა
თავისი კოხტა თავი და ისე ნაზათ შეეხო ჭაბუკის პირი-სა-
ხეს, თითქო უნდა ეთქვა: „მე მირჩევნია შენ განაცვალო
ჩემი ფრთებიც, თვით ჩემი სიცოცხლეც, ვიდრე უშენოთ
დავრჩე“.

ჭაბუკმაც ალერსით გადაუსვა ფაფარზე ხელი:—გმადლობ,
ჩემო მეგობარო! მაშ აბა ეხლა კი შეუდგეთ საქმეს! ამ სი-
ტყვებით მან მოსწია ალვირი და პეგასიც ცოტა გვერდ-გვერდ
შურდულივით დაეშო ხიმერისკენ, რომელიც ცდილობდა რაც
შეიძლება მაღლა ჰაერში აწეულიყო. ბელლეროფონმა, რო-
გორც კი დრო იხელთა, დაჭრა მახვილი ცხოველს და პეგასი
ისეთ სისწრაფით გახტა უკან, რომ ერთწამს ღრუბლებში გაეხვია
თავის მხედრით, ჭაბუკმა ვერც კი მოასწრო დაენახა თავისი
ნაკრაკი. რამდენიმე ხანი ფრთოსანი რაში კიდევ განაგრძობდა
ფრენას, ბოლოს ისევ უკან გამოქროლდა და იმავე ადგილას
გაჩერდა. მარტო ეხლა დაინახა ჩვენმა ჭაბუკმა, რომ ხიმერას
ერთი თავი—თხისა, თითქმის მოკვეთილი ჰქონდა—იგი ოდნავ
ღა ფამფალებდა თავის ტყავის ნაგლეჯზე. ლომის და გვე-
ლის თვალები უფრო გაშმაგებული აფრქვევდენ ცეცხლს
და ბღუოდენ, ასე გეგონებოდა ამ მკვდარ თავის ძალა ამათ
შეემატათო.

— არაფერია, ჩემო გულადო პეგასო, ამხნევებდა ჭაბუ-
კი რაშს, მეორე დაკვრით ჩვენ მოვსპობთ ან გველის სისინს,
ან ლომის ღრიალს.

ბელლეროფონმა კიდევ ოდნავ მოსწია ალვირს, ფრთო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანი რაში წინანდებულათ ისარივით გვერდ-გვერდ დაეშო ხიმერასკენ, და აი, მეორეთ გაიელვა ჭაბუკის მახვილმა ხიმერას თავზე, მაგრამ სამწუხაროთ ისე ადვილათ ვერ გადურჩენ არც ბელლეროფონი და არც რაში ამ მხეცს, როგორც პირველათ, ერთი ტოტით ხიმერამ ძლიერ გაუფხაჭნა მხარი ჭაბუკს, მეორეთი კი დააზიანა რაშის მარცხენა ფრთა. არც თუ ბელლეროფონი ჩამორჩა მტერს—მეორე დაკვრით ლომს თავი მოჰკვეთა. თავი ულონოთ ძირს—დაეკიდა: ცეცხლის ალის მაგივრათ შავი კომლი-ღა მოედო დედამიწაზე.

სამაგიეროთ ერთათ-ერთ ცოცხალ გველის თავს გაუორკეცდა სისასტიკე და შხამიანობა; ეხლა იგი აფრქვევდა ალის უშველებელ სვეტებს, რომელიც ხუთას ფუტზე მაღლა ადიოდა; იმისი სისინი ისეთი მძლავრი და ხმა მაღალი იყო, რომ მეფე იობატი, ორმოცდა ათ მილზე უდაბნოსაგან დაშორებული თავის სამეფო ტახტზე თრთოდა და კანკალებდა.

„ვაი ჩემი ბრალი“, ფიქრობდა საცოდავი მეფე, ეს უთუოთ ხიმერა მოდის ჩემ შესაყლაპათ“.

პეგასი ისევ შესდგა, გაჯავრებული ჭიხვინებდა და თან ცეცხლივით ანთებულ თვალით შეჰყურებდა ხიმერას. როგორ არ ჰგავდა ეს ცეცხლი იმ ალს, რომელიც საძაგელ ხიმერას ამოსდიოდა პირიდან!

— სისხლით ხარ გათხუპნული, ჩემო საყვარელო რაშო. შეძრწუნდა ჭაბუკი, რომელსაც თავის ჭრილობა სულ დაავიწყა გალაღებულ კეთილშობილ ცხოველის ტანჯვამ—იმ ცხოველის, რომელსაც თავის დღეში ცოტაოდენი ტკივილიც არ გამოუცდია, „ხიმერა თავის თავით აგებს უკანასკნელ პასუხს“, ამხნევებდა ჭაბუკი პეგასს და ამ სიტყვებით მოსწია ალვირს, თან ერთი დაჰკივლა და პირდაპირ ელვის სისწრაფით თავს დაეცა გააფთრებულ გველ-ცხოველს.

ყველა ეს თვალის დახამხამებაზე მოხდა, მარტო ალის სინათლე-ღა მოწმობდა, რომ ბელლეროფონი კიდევ შეებრძოლა თავის მოსისხლე მტერს.

მეორე თავის დაკარგვამ ხიმერა უფრო საშინლათ გააცოფა, იგი ისეთი სისწრაფით და საშინლათ აწყდებოდა ხან დედამიწას, ხან ჰხტებოდა ჰაერში, რომ ძნელი წარმოსადგენი იყო; ამასთან იმდენათ აღებდა პირს, რომ პეგასი თავის გაშლილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთებით და მხედრით თავისუფლათ მოთავსდებოდა ბის ყბებში. როგორც კი ბელლეროფონი დაუახლოვდა ხიმერას, ამ უკანასკნელმა ამოანთხია მთელი სვეტი ცეცხლის ალისა, შეუტრუსა პეგასს სპეტაკი ფრთები და ჭაბუკს ოქროს კულულები; ცხელი ჰაერი გავარვარებული იყო და პირდაპირ აუტანელი შეიქნა. მაგრამ ყველა ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც მერე მოხდა.

ფრთოსანი რაში, ათას ფუტზე იყო ხიმერაზე დაშორებული, როცა უკანასკნელმა ისკუპა მთელი თავის ტლანქი სხეულით, მეხივით დაეცა პეგასს, ჩაავლო კლანჭები საცოდავ რაშს, თან თავის გველის კუდით შებოჭა იგი. პეგასი თავის ფრთების მეოხებით აფრინდა სულ მაღლა, მაღლა ზეცისკენ, ღრუბლებსაც კი ასცდა, თითქმის აღარსად არა ჩნდა. მაგრამ ხიმერა არ ეშვებოდა, თანაც კი აჰყვა საწყალ რაშს. ამ დროს განმავლობაში ჭაბუკმა მოიხედა უკან და პირის პირ შეხვდა თავის მტერს. აქ ჩვენმა გმირმა სწრაფლ მოიმარჯვა თავისი ფარი, რომ საშინელ მხეცს არ დაეშავებინა რა, ან ცეცხლით, ან კიდევ თავის ბასრი კბილებით, თითონ ფარიდან გამოჰყურებდა ცხოველის გაცეცხლებულ თვალებს.

ხიმერა კი ისე იყო გაცოფებული, რომ ყოველივე სიფრთხილე დაავიწყდა. იქნება პირის პირ სჯობდეს მასთან ბრძოლა! ფიქრობდა გაშმაგებული ცხოველი და ცდილობდა თავის კლანჭებში ჩაეგდო ბელლეროფონი და ნაკუწ-ნაკუწათ ექცია, თავის თავი კი სულ დაავიწყდა, ასე გასინჯეთ თავის მკერდი მიუშვირა სრულიათ ჭაბუკს. ამ გარემოებით ისარგებლა ჩვენმა რაინდმა: მოიქნია მახვილი და შიგ გულში ღრმათ ჩაურჭო. მოდუნდა ხიმერა, ნელ-ნელა მოეშვა კუდი და კლანჭები, და ძირს, დედამიწაზე მოიღო თხლაშანი. აპრიალებულ ალში ჩაინთქა. მეორე დღეს იქ მცხოვრებელ გლეხების განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა დაინახეს, რომ ტრიალი მინდორი მთლათ მოფენილი იყო შავი ფერფლით, შუა გულ მინდორზე კი აკოკოლავებული იყო მთელი გროვა ძვლებისა—შორიდან უშველებელ თივის ბულულს მოგაგონებდა. ასე და ამნაირათ, ხიმერას ამ დახრუკულ ძვლების გარდა არაფერი ნიშანი არ დარჩა.

გამარჯვებისაგან გახარებულმა და თან თვალცრემლიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელლეროფონმა გადაჰკოცნა ნიშნათ მადლობისა თავის ერთგული პეგასი.

— ეხლა კი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, გავეშუროთ პირენასთან, ალერსით უთხრა ყმაწვილმა.

ამ სიტყვების გაგონებაზე, პეგასი ისეთი სისწრაფით გაჰქანდა პირენასკენ, რომ რამდენიმე წუთში უკვე იქ გაჩნდა.

მდინარის ნაპირს კი წინანდებულათ იდგა ყავარჯენზე დაყრდნობილი მოხუცი, ახალგაზდა ქალი კოკით მხარზე და სოფლელი თავის ძროხით.

— მე ეხლა მაგონდება, დაიწყო მოხუცმა, ერთხელ პატარობისას, ვნახე ფრთოსანი რაში, მაგრამ ის რაში მაშინ ბევრათ უკეთესი იყო ვიდრე ეხლა.

— ჩემი ცხენი მაგისთანას სამს აჯობებს, არ ცხრებოდა სოფლელი. — ეგ რომ ჩემი იყოს, ამ წუთშივე შეუკვეცდი მაგ ფრთებს.

მარტო ყმაწვილმა ქალმა არაფერი სთქვა. საერთოთ ძალიან მშიშარა იყო. ეხლაც ისე შეეშინდა, რომ საჩქაროთ შინისკენ მოჰკურცხლა და სისწრაფით თავისი კოკაც კი გატეხა.

— სად არის პატარა ბიჭი? იკითხა ბელლეროფონმა, — ის ხომ სულ ჩემთან იყო. მარტო მას სწამდა ფრთოსან რაშის არსებობა და ჩემთან ერთათ უყვარდა მდინარეში ჩაცქერა.

— მე აქ ვარ, ჩემო ბელლეროფონო, მოისმა პატარა ბიჭის მოკრძალებული ხმა.

ყმაწვილი მთელ დღეებს წყლის პირას ატარებდა, ყოველ დღე მოუთმენლათ ელოდა თავის მეგობრის დაბრუნებას, და როგორც კი დაინახა ბელლეროფონი, რომელიც ფრთოსან რაშზე პირდაპირ ღრუბლებიდან ძირს ჩამოსრიალდა, ისე შეკრთა ერთხანს, რომ იქვე ბუჩქებში მიიმალა. ძალიან მორიდებული და მორცხვი იყო ჩვენი პატარა ბიჭი. თანაც ეშინოდა, რომ მოხუცს და სოფლელს არ შეემჩნიათ მის თვალებზე მომდგარი ცრემლები და სასაცილოთ არ აეგდოთ.

მაგრამ გაიგონა თუ არა ბელლეროფონის სიტყვები გამოხტა ბუჩქებიდან, მივარდა ჭაბუკს, რომელიც ჯერ კიდევ იჯდა პეგასზე და შესძახა: „შენ ხომ გაიმარჯვე, ხომ გაიმარჯვე! ეს ასეც უნდა ყოფილიყო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ჩემო, ძვირფასო ბავშვო, უპასუხა ჭაბუკმა, გადმოხტა რაშიდან და განაგრძო: — ეს კი უნდა გითხრა, ჩემო კარგო, შენ რომ არ შემსწრებიყავ, შენს მტკიცე რწმენას არ გავემხნევებინე, მე არასოდეს არ ველირსებოდი პეგასის ნახვას, ვერც ვიფრინებდი ღრუბლების ზევით, და არასოდეს ვერც დავსძლევდი საშინელ ხიმერას. მარტო შენგამ, შენით ველირსე ყველა ამას, ჩემო ძვირფასო.

— ეხლა კი მივცეთ თავისუფლება პეგასს. ამ სიტყვებით ჭაბუკმა მოხსნა აღვირი საარაკო რაშს. — იყავ ყოველთვინ თავისუფალი, პეგასო! წამოიძახა ბელლეროფონმა და თან ნაღვლიანათ დაუმატა: იყავ — ისევე თავისუფალი, როგორც, წინეთ, ჩემამდის!

მაგრამ პეგასი არ აპირებდა გაფრენას. ალერსით თავის კოხტა თავი დაადო ჭაბუკს მხარზე.

— მაშ კარგი, ჩემო მეგობარო, მიუალერსა ბელლეროფონმაც — დარჩი ჩემთან თუ კი გსურს. აბა ეხლა კი მეფე იობოტტთან გავფრინდეთ, შევატყობინოთ, რომ ხიმერა აღარ არსებობს!

ჭაბუკი სიყვარულით გამოეთხოვა პატარა ბიჭს, აღუთქვა მალე ნახვა და გაფრინდა შორს, შორს.

—

განვლო ბევრმა დრომ და ჩვენი პატარა ბიჭი, ახლა უფრო მაღლა ჰფრინავდა თავის ფრთოსან რაშზე, მინამ ბელლეროფონი; უფრო მეტ გმირობას იჩენდა, უფრო საშინელ ცხოველებს, ვიდრე ხიმერას ავლებდა მუსრს. ეს კეთილი, ტკბილი და მუდამ ჩაფიქრებული ყმაწვილი გახდა დიდებული მგოსანი.

(თარგმანი)

შ. ასათიანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე ლ გ ი ა.



რიად შემზარავ სურათს გვიხატავს ამერიკის ერთი გაზეთის კორესპონდენტი ახლანდელ ბელგიის მდგომარეობაზე. მთელი გზა ანტვერპენიდან ბრიუსელამდე იგი ხედავდა მხოლოთ განადგურებულ სოფლებს. ბელგია წარმოადგენს ახლა ვეებერთელა სასაფლაოს. დანგრეულ სახლებ შორის მოსჩანს საფლავები. აქა-იქ, ამბობს კორესპონდენტი, დაინახავთ შუბებს და ზედ წამოგებულს ბელგიელ მეომრის თავის მოსაკაზმებს. ზოგ საფლავებზე თეთრი ჯვარია წარწერით. მთელი არე-მარე დაცარიელებულია. ხეები წაქცეული და გადაჩეხილი, რომ გზა მიეცათ საშინელი ყუმბარებისთვის. მოსავალი დაიღუპა. ყანები დარჩა დაუმუშავებელი. სახლების კედლები დახვრეტილია ყუმბარებით, საყდრები წარყვნილი.

ნანგრევებში ფუსფუსებენ ქალები, საჭმელს დაეძებენ. ზოგიერთ სოფელში მამა კაცს სრულებით ვერა ნახავთ. დაობლებულ ბავშვებს თუ დაინახავთ, იმათაც ნანგრევებში თუ იპოვით. ბელგიას თუ დროზე არ მიაწოდეს პური, შიმშილისაგან დაიხოცებიან ისინიც, ვინც ომს გადარჩა. ანტვერპენში კორესპონდენტმა ნახა ათასამდე ქალი გაყინული და მშიერი.

ასეთია სურათი ეხლანდელი ბელგიისა! რამ დააბეჩავა ამ ზომამდე ეს მშვენიერი კოხტა ქვეყანა, რომლის დავიწყება შეუძლებელია იმისთვის, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ეს ქვეყანა.

ომმა, საშინელმა ომმა მიწასთან გაასწორა ქვეყნის კეთილ დღეობა; ასეთი კულტურული ქვეყანა გარდააქცია საასაფლაოთ. აქ მსხვერპლათ შესწირეს თავი ბელგიის საუკეთესო ახალგაზდობამ! აქ დამარხა ხალხმა თავისი საუკეთესო იმედები და ძალები. საშინელებას მოგვითხრობენ სხვა კორესპონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენტებიც. ერთ პატარა ქალაქში ყოველ ღამე მის საფარველ გურზე ჩერდება მატარებელი დატვირთული მკვდრებით. მოის-მის ხოლმე გულსაკლავი ქვითინი... მცხოვრებლები შიშით იმალებიან. ამ საშინელ მატარებელს არავინ არ უხვდება, ყველა ჩაიკეტება ხოლმე სახლებში; ეს მატარებელი დღითი არ მოდის, რომ არ დააფრთხოს სხვა მეომრები. ქალაქი გადაქცეულა სასაფლაოთ. სასოწარკვეთილებით მოცულია არე მარე.

ამ სამი, ოთხი თვის წინეთ კი სულ სხვა სურათს წარმოადგენდა ეს პატარა ქვეყანა. ბელგია იყო მშვენიერი, აყვავებული ქვეყანა, ხალხი განვითარებული და პატიოსანი მუშა. მან საუკუნოებით შეიმუშავა თავისი კეთილ-დღეობა, თავისი ოფლით და სისხლით შეიძინა მან სიმდიდრე და მოინიჭა უკვ ღავი კულტურა. მისი ქალაქები იყო მრეწველობის, კულ-ტურის სალაროები... ზოგიერთი ქალაქები მაგ. მალინი და ლუვენი ალარ არსებობენ. ლუვენის შესანიშნავი წიგნთ-საცავი გაანადგურეს. ამბობენ გერმანელებმა ზოგი წიგნები კი-დეც დასწვეს. ზოგი კი გაზიდეს გერმანიაშიო. ბრუსელი და ანტვერპენი ალაგ-ალაგ დანგრეულია. საუკეთესო ისტორიული შენობები—მოწმენი ბელგიის ისტორიისა ყუმბარებით გახვრეტილებია.



ანტვერპენი.

ანტვერპენი Aen t'werf, ნიშნავს „ნაპირზე"—უწინ იყო გაშენებული პაწია სოფელი, მდინარე შელდის ნაპირზე, იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრებით, რომ აქ მეთევზეობა ადვილი იქნებაო. XVIII მეთერთმეტე საუკუნეში ისტორიულ საბუთებში შეხვდებით ამ სახელს. 837 წ. კი ანტვერპენს ეწვიენ ნორმანები, რომლებმაც სრულებით გადასწვეს და გაანადგურეს ეს პატარა ქალაქი. მეთერთმეტე საუკუნეში ისევ აღორძინდა ეს ქალაქი. მისი მმართველი იყო ამ დროს ისტორიაში ცნობილი, ჯვაროსანი გმირი გოტფრიდი ბულონელი, ამ დროიდან ეს ქალაქი იზრდება, მდიდრდება, ამას ხელს უწყობდა კარგი გეოგრაფიული მდებარეობაც. კარლოს მეხუთეს დროს მის ნავთ სადგურში შემოდიოდა 400 ხომალდი, რაც იმ დროისათვის პირდაპირ ზღაპრული მოვლენაა.

ბევრი რამ გამოსცადა ამ ქალაქმა თავის ხანგრძლივ არსებობაში. ბევრი ვაი-ვაგლახი გადიტანა მან, როდესაც გაბატონდენ ევროპაში ესპანელები. რამდენსამე საუკუნოს იტანჯებოდა ანტვერპენი და ბოლოს მეჩვიდმეტე საუკუნეში ნიდერლანდელებთან ერთათ განდევნა ესპანელები. ამის გამო ქალაქი დასუსტდა, მისი ვაჭრობა დაეცა, მოძრაობა შეჩერდა. მაგრამ ამავე დროს დადგა ხანა, ხელოვნების აღორძინებისა. ანტვერპენში სცხოვრობდა იმ დროს შესანიშნავი მხატვარი რუბენსი, რომელმაც შეჰქმნა მთელი ხანა მხატვრობაში.

რუბენსმა დიდი გავლენა იქონია, დიდი სახელი მოუხვეჭა ანტვერპენს და აღლაც ანტვერპენი ითვლებოდა ბელგიაში ხელოვნების და მეცნიერების დედა-ქალაქათ.

ნაპოლეონის ომების შემდეგ ანტვერპენი უფრო მეტათ აღორძინდა და იმ ხნიდან ეს ქალაქი და მისი მრეწველობა — ზღაპრულათ იზრდება. 1830 წ. იქ იყო მხოლოთ სამოცდა ათი ათასი მცხოვრები, 1910 წ. უკვე ავიდა სამას ოცდა ათი ათასამდის.

ახლანდელ ანტვერპენში მოგზაურს აკვირვებდა საოცარი მოძრაობა. ნავთ-სადგურში რო შეხვიდოდით ჯოჯოხეთური ხმაურობა გამოგაყრუებდათ. თვალ წინ გადაჭიმული იყო ხომალდების სადგომი, სადაც მოჩანდა გემების იალქნები თავისი მილებით. ამ ადგილას მდინარე შელდის სიგანე არის 1 ვერსი, მაგრამ იმოდენა გემები იდგა მაზედ, გეგონებოდათ გემიდან გემზე რომ გადააბიჯოთ, შესაძლოა ერთი ნაპირიდან მეორეზედ გადახვიდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაურობა და ღრიანცელი ათასი მანქანებისა გაისმოდა ყველგან: ზოგ ადგილას ტვირთავდენ გემს ნახშირით, ზოგან აცარიელებდენ გემს, ზოგან ყრიდენ ხორბალს, ეს ყოველისფერი თქვენ გაყრუებდათ. მიხვალთ გემთან და ხედავთ, რომ უშველებელ მანქანას უზის, უფრო ხშირად, ზანგი ან ჩინელი. ეს ეწევა დინჯათ თავის ჩიბუხს. ატრიალებს მანქანას. მანქანაც ტრიალებს და ააქვს ჰაერში მთელი დატვირთული ვაგონი, რომელსაც ან ძირს დაუშვებს, ან მეორე გემზე გადატვირთავს. ყველგან ხედავთ ფიცხლ მუშაობას.

ზღვის პირი გადაჭიმულია 5 ვერსის სიგძეზედ და აბა წარმოიდგინეთ რა ამბავი უნდა ყოფილიყო იქ და რას წარმოადგენდა ანტვერპენის ნავთ-სადგური, ევროპაში გამბურგის ნავთ-სადგურის შემდეგ ეს იყო პირველი ნავთ-სადგური. განუწყვეტლივ ისმოდა მატარებლის კივილი, ფრთხილათ უნდა ყოფილიყავით, რომ არ მოხვედროდით მათ ქვეშ. ნავთ სადგურში იმდენი რელსები იყო გადებული, რომ დაჰფარავდა 150 ვერსის მანძილს.

თქვენ განცვიფრებული იქნებოდით ასეთი მოძრაობით, თანაც აღტაცებით დაათვალიერებდით ამ ფლამანდელ მუშებს, რომელნიც არხეინათ ეწეოდენ თავის ჩიბუხებს დასვენების დროს, მუშაობაში კი საოცარ ღონეს და გამჭრიახობას იჩენდენ.

მეტათ საყურადღებო იყო იმ ადგილის ნახვა, სადაც ცხელ ქვეყნებიდან მოსული გემები ჩერდებოდენ. მათ მოჰყავდათ ზოოლოგიურ ბაღებისათვის ცხოველები და ფრინველები აფრიკიდან, აზიიდან, ამერიკიდან.

აქ მანქანების ღრიალს უერთდებოდა ცხოველების ღრიალი. მიჩვეულნი მყუდრო ტყეებს, სიჩუმეს იგინი შეშინებულნი იყვენ ამ ნავთ-სადგურის ხმაურობით. ყველაზე უფრო შფოთავს ხიზლმე თუთიყუში. ის საშინლათ გაჰკივის და მისი ხმა თითქმის ჰფარავს იმ საშინელ ჟრიამულს და ხმაურობას.

თუ რა ამბავი ხდებოდა ანტვერპენის ნავთ-სადგურში შემდეგი ციფრები დაგვანახვებს ნათლათ: ყოველ დღე აქ მოდის 30 გემი, და ამოდენივეც გაემგზავრება აქედან; წლის განმავლობაში 20,000 გემი მოვა და გავა აქედან.

ასეთი იყო ნავთ-სადგური. კიდევ ბევრი რამ იზიდავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგზაურის ყურადღებას ანტვერპენში. მაგალითათ სხვა და სხვა მუზეუმები. ერთი მუზეუმი, სახელდობრ პლანტენის მუზეუმი წარმოადგენდა საოცარ სანახაობას. ამ მუზეუმში მოთავსებული იყო სტამბა იმ სახით, როგორც იყო ის მეთექვსმეტე



ანტვერპენის ძველი ტაძარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნეში. იქ რო შედიოდით ისე გეგონებოდათ, რომ ეს ესაა გავიდენ აქედან მუშებიო, თითქო მუშაობა ეს ესაა შეწყდაო. მეოთხე ოთახში დაინახავდით მეთექვსმეტე საუკუნის წიგნის მაღაზიას. მთელ შენობაში გრძნობთ სულს იმ დიდებულის ადამიანისას, როგორიც იყო პლანტენი. ეს იყო პირველი ბელგიელი ასოთ-ამწყობი. მთელი თავისი ქონება მან მოანდომა ბეჭდვის საქმეს და ამის მიზეზით ანტვერპენი გახდა მეცნიერების დედა-ქალაქათ. სრულებით გადაგავიწყდებათ, რომ მეოცე საუკუნეში ხართ, გგონიათ კიდევ, რომ საშუალო საუკუნოებია და ამ ფიქრით თქვენ ჩადიხართ ქვევით მშვენიერ ბაღში. გესმით დიდი ქალაქის ხმაურობა, მოძრაობა და თქვენი ფანტაზია გაგიტაცებთ ხოლმე შორს, შორს. როცა გამოდიოდით ქუჩაში და გესმოდათ მელოდიური ზარების რეკა, იცოდით რომ ხმა მოდის ანტვერპენის ძველი ტაძრის სამრეკლოდან.

ეს ანტვერპენის ტაძარი საუკეთესო არხიტექტორთა ნაშთი იყო ბელგიისა. თითქოს თავისი ნაციონალური ხასიათით გამოქანდაკება უნდოდა მის შექმნელს. ის უზარ-მაზარი იყო და ყველა შენობებზე მაღალი. მისი ზარების რეკა თითქოს მოუთხრობდა მცხოვრებლებს მათი წინაპრების ამბავს. ამბავს იმ გმირ-ჭაბუკისას, რომელიც შეებრძოლა დევს და მოერია კიდეც მას... ეს ზღაპარი იყო, ზღაპარი უწინდელი დროისა.

ეხლა კი ჩვენ თვალწინ არის სასტიკი, საშინელი სინამდვილე. საშინელი მტერი, იმ დევზედ უფრო ულმობელი, რომელიც ემუქრება ეხლა ბელგიას. უნდა შთანთქას იგი, გაანადგუროს, ძაგრამ მალე დაგვიდგება ის დრო, როდესაც ისევ წამოდგება ლამაზი ბელგია შეუძლებელია რომ სამუდამოთ დაიკარგოს ასეთი კულტურული ხალხი. ისტორიაში არა ყოფილა ასეთი მაგალითები.

ალ. ფალავასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი რაინდი.

ზღაპარი.

დესლაც შორს, ძალიან შორს, ერთ უცხო ქვეყანაში, როგორიც მხოლოთ უდარდელათ და უშფოთრათ მძინარე ბავშვს შეუძლია იხილოს სიზმარში, ერთ მიუვალს მთაზე ამართულიყო საიდუმლოებით მოცული, მშვენიერი კოშკი. ამ კოშკში ცხოვრობდა ორი მზეთუნახავი ქალი. ხალხს სწამდა, რომ ამ ქვეყნიური ბედი და ბედნიერება სწორეთ იმ კოშკში იყო ჩამწყვდეული და მთელ დედამიწაზე არ მოიპოვებოდა ისეთი ვაჟკაცი, რომ კოშკამდე მიეღწია და იმისი საიდუმლოება გაეგო. ამბობდენ აგრეთვე, რომ კოშკის ირგვლივ, რამდენიმე ვერსის მანძილზე ერტყა ხშირი, დაბურული და გაუვალი ტყე. ვერავინ ბედავდა ამ ტყეში შესვლას, რადგანაც ძნელზე უძნელესი იყო იქ მგზავრობა. თვალ-ჩაუწვდენელი უფსკრულები, ღრუბლებამდე ამართული სალი კლდეები, ქაფ-მორეული გიჟმაჟი მდინარეები და გაუვალი ეკლ-ნარი — აბა რომელ თავგადადებულ ვაჟკაცს არ შეაფიქრიანებდა და არ დაახევინებდა უკან?! ან თუ ვინმე გამოიდებდა თავს და ამ სახიფათო მგზავრობას გაბედავდა, მას უკან დაბრუნებულს ვეღარ ხედავდენ. გამოერეოდა ისეთიც, რომ დაბრუნდებოდა, მაგრამ ს'მინლათ დასახიჩრებული და სულიერ სიმშვიდესა და მოსვენებას მოკლებული. მზეთუნახავთა შესახებ ლაპარაკობდა ყველა, როგორც მოხუცი, ისე ახალგაზრდა, მაგრამ არავის ენახა ისინი. მოხუცებულნი მოუთხრობდენ ბავშვებს მათ შესახებ უცხო ზღაპრებს, პატარეებიც უგდებდენ ყურს და სწყუროდათ სასურველ კოშკის ხილვა ღა თუნდ შორიდან — დანახვა იმ მშვენიერ, ზღაპრულ მზეთუნახავებისა.

და აი მოულოდნელათ გამოჩნდა ორი ახალ-გაზდა რაინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი. მათ გადაეწყვიტათ, რათაც უნდა დაჯდომოდათ, მგზავ-
წიათ საიდუმლოებით მოცულ კოშკამდე და სწორეთ იმ გზით,
რომელზედაც არა ერთი და ორი მგზავრი დაღუპულიყო.

— ტყუილათ გაგიწირავთ თავი—ეუბნებოდენ რაინდებს
—იქ ხომ დიდება და ბედნიერებაა ჩამწყვდეული,—ხოლო
ამითი მიხწევა ქვეყნათ ჯერ არავის მოსწრებია.

— რა ვუყოთ, მაინცა ვცდით, შეიძლება სხვებზე იღ-
ბლიანი გამოვდგეთ—უპასუხეს რაინდებმა.

შემოჰკრეს ცხენებს დეზები და გაჰკურცხლეს. იარეს,
იარეს და როგორც იყო მიახწიეს დაბურულ ტყეს. მქისედ
და ცივათ შეხვდა ტყე მხედართ. ას წლოვანი ხენი მეგობ-
რულათ გადახვეოდენ ერთმანეთს მრავალ რიცხვოვანი ტო-
ტებით და შიშსა ჰგვრიდენ მნახველთ. ეკლნარს უკვე მოე-
მარჯვებინა ისრები საჩხვლეტათ, ტყის სილრმიდან კი მოის-
მოდა მხეცთა საშინელი, თავზარ დამცემი ღმუილი.

— „დავანებოთ თავი ამ დიდებისა და ბედნიერების ძებ-
ნას და დავბრუნდეთ უკან?“—გაიფიქრეს ახალგაზრდა რაინ-
დებმა, მაგრამ მყისვე შერცხვათ თავიანთი სილაჩრის.

ერთმა ᲐᲗᲒᲐᲜᲛᲐ გარშემო მიმოიხედა.

იქვე ტყის პირათ შეამჩნია ძველი, წაფერდებული ქოხი.
ლობეზე გაფენილი იყო ჩვრები, სარეზზე ქოთნები ეკიდა—
აშკარა იყო, რომ ქოხში ვილაც ცხოვრობდა. ქოხის გარშე-
მო ყველაფერი მოუვლელი და გავერანებული იყო. უცხო
თვალი მაშინვე შეატყობდა, რომ ამ მიდამოზე დიდი ხანია
აღარავის ეზრუნა. უფროსი რაინდი ის იყო უნდა გასცდო-
მოდა ქოხს, მაგრამ ამ დროს უმცროსს გულის შემზარავი
კვნესა შემოესმა და შეჩერდა.

— მოდი აქ, კეთილო ჭაბუკო,—გამოეხმაურა მას ვილა-
ცა—მომეშველე.

უმცროსი რაინდი ჩამოხტა ცხენიდან და გასწია იქითკენ,
საიდანაც კვნესა მოისმოდა.

— ნუ მიდიხარ! არა ღირს!—უთხრა მას უფროსმა რა-
ინდმა—ჩვენ სამაგისო დრო არა გვაქვს, ჩვენი მიზანი სულ
სხვაა.

მაგრამ უმცროსმა ყური არ უგდო და გასწია მისაშვე-
ლებლათ, მივიდა ადგილას და ნახა ქვაზე მჯდომარე დედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერი, რომელიც ამოოთ ცდილობდა ადგომას. იქვე ახლოს ეგდო ფიჩხის კონა. დედაბერს ტვირთი ველარ ეზიდნა, ფეხი წაეკრა და წაქცეულიყო.

— მიშველე, შვილო! ისე მოვხუცდი და დავუძლურდი, რომ თუ წავიქეცი ველარა ვდგები. თავის დღეში ნუ აღვლი გვერდს გაჭირვებულს, როცა შველა გთხოვონ—ყოველთვის უშველე ხოლმე.

— ინებე, დიდედი—მხიარულათ მიუგო ჭაბუკმა—მოიტა ხელი, დამეყრდნე, აი ასე, წავიდეთ!

წამოაყენა მოხუცი, გაიდო შეშა მხარზე და წავიდენ.

— გეყოფა ერთი ჩხირკედელაობა—დაუყვირა უმცროსს უფროსმა რაინდმა—გაანებე თავი მაგ დედაბერს, წავიდეს საცა უნდა. ჩვენს საქმეს ვეწიოთ, არა გვცალია.

მოხუცმა აღაპყრო თვალები და შეევედრა უმცროს ჭაბუკს:

— შემიბრალე, შვილო! ნუ დამაგდებ შუა გზაზე. მიმაცილე ქოხამდე. სრულიათ აღარ შემწევს ძალა, ხომ ხედავ როგორი მოხუცებული და დაუძლურებული ვარ!..

— კარგი, დედი, კარგი? დამშვიდდი—ისევ მხიარულათ უთხრა რაინდმა.—თუმცა გზა მიბრუნდება, მაგრამ მაინც მიგაცილებ სახლამდე; კეთილ საქმეს არასოდეს არ უნდა გაურბოდეს ადამიანი...

— მაშა,—ამოოხვრით სთქვა დედაბერმა—მაგრამ უბედურება ისაა, რომ ყველა ასე არ აზროვნობს.

ჭაბუკმა მიაცილა მოხუცი ქოხამდე.

— საითკენ მიემგზავრები, შვილო!—ჰკითხა დედაბერმა კეთილ რაინდს.

— აი მივდივართ, გადავწყვიტეთ რათაც უნდა დაგვიჯდეს მივახწიოთ იმ მიუვალ კოშკს, რომელიც ამ ტყეში ყოფილა აშენებული. ამბობენ რომ იმ კოშკში ცხოვრობს ორი მზეთ-უნახავი ქალი. თურმე ვინც პირველი შევა იმ ციხესიმაგრეში და ცოლათ შეირთავს ერთ იმ მზეთუნახავთაგანს—ბედნიერიც იქნება და იმისი სახელიც უკვდავი იქნება ქვეყანაზე.

— ეეხ, სახელი და დიდება, სახელი!—ნაღვლიანათ წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსთქვა მოხუცმა.—რამდენი ვაჟ კაცი დაღუპულა მაგ სახელისა და დიდების ძებნაში და ვინ იცის კიდევ რამდენი დაიღუპება?!.

მოხუცმა ქალმა მოჰკიდა ხელი ჭაბუკს, მიიზიდა ის თავისკენ და უჩურჩულა ყურში:

— ყური დამიგდე, კეთილო ჭაბუკო, აი რას გეტყვი. შენ შემიბრალე მოხუცებული ადამიანი და ქოხამდე მომაცილე, სამაგიეროთ მე აი რა რჩევას მოგცემ. როცა კოშკს მიაღწევთ, გაფრთხილდი. იქ ორი და ცხოვრობს. ისეთნი მშვენიერნი არიან, როგორც მაისის დილა და ისე მიმზიდველნი, ვით რაკრაკი ნაკადულისა. მაგრამ ერთი მათგანი კეთილია და მართლ-მოყვარე, მეორე ცრუ, ბოროტი და ცბიერი. გაფრთხილდი, არ მოგხიბლოს მეორემ. ის ხშირათ თავის უმცროს დათ აჩვენებს თავს ადამიანს და ბევრი ჭკვიანი და მამაცი ვაჟკაცი მოუტყუებია. დები ისე გვანან ერთმანეთს, რომ ძნელია მათი გარჩევა. მაშ გახსოვდეს, არ მოგხიბლოს მეორემ, არ მოგაჯადოვოს.

ახალგაზრდა რაინდი ჩაფიქრდა.

— კი, მაგრამ როგორ გავიგო, თუ რომელი მათგანია უმცროსი?—ჰკითხა მან დედაბერს.—აკი შენ მეუბნები ისე გვანან ერთმანეთს, რომ ძნელათ განირჩევიან ერთი მეორისაგან? სახელები მაინც გამაგებინე.

— უმცროსის სახელი არის — **დიდება**, მიუგო მოხუცმა — უფროსს კი ჰქვიან — **ცრუ დიდება**. უმცროსი არასოდეს არ მოგატყუებს, უფროსს მუდამ ერიდე. უმცროსი ყოველთვის უბრალოთ და სადათ ჩაცმული დადის. უფროსი მდიდრულათ არის გამოწყობილი, ძვირფას-თვლებიანი ბეჭდები უმკობენ თითებს, იმისი ძვირფასი წამოსასხამი თვალის მომჭრელათ ლაპლაპებს, მარტო იმისი საყელური ერთ სახელმწიფოთა ღირს. ასეთი ჩაცმა-დახურვა და მორთულობა ყოველთვის იზიდავს ადამიანს. იშვიათათ გამოვა ისეთი კაცი, რომ მან არ მოხიბლოს. მაშ გახსოვდეს, ფრთხილათ იყავი. ეხლა კი მშვიდობით, შვილო! გიკურთხოს უფალმა გზა და მოგანიჭოს სასურველი გამარჯვება.

დედაბერი შევიდა ქოხში, ხოლო ჭაბუკი მოახტა მერანს და გასწია ამხანაგისაკენ. მიადგენ დაბურულ ტყეს. როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგ შევიდენ ისე დაბნელდა თითქო დღე კი არა-ლამეა-ტყე ისეთი ხშირი გამოდგა, რომ ცხენით მგზავრობა შეუძ-ლებელი შეიქმნა. რაინდნი ჩამოხტენ ცხენებიდან, გაუშვეს ისინი ველათ და გაუდგენ გზას ფეხით.

მაგრამ ამხანაგები ჩქარა გაიყარენ.

— მე არა მსურს შენთან მგზავრობა—უთხრა უმცროსს უფროსმა რაინდმა—ბედნიერება და დიდება მხოლოდ მე უნდა მეკუთვნოდეს.

— კარგი, ნება შენია—დაეთანხმა უმცროსი—გაჰყევ შენს მიერ არჩეულ გზას, მე კიდევ ჩემი გზით ვივლი.

გ. ლ—ძე.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საუმაწვილო ნასაზებიანი ჟურნალი

ოცდა მეექვსე წელიწადი.

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1915 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, ბატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება **4** მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან. ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში**—„ჯეჯილის“ რედაქციაში, (არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

n 369/1.

ჯეკლოგი

ამიღებულ ხალოის ამოდენა

1915 წელსა.